

ბ. მებარე

ՕՆՆԱԾՈՅՆՈՅՅ
ՀՐԴՐԵԱԾՈՂ

ԵԱԿԵԶԾՎԱԾՈ



ଲୋକ ପରିବାର ଅଳ୍ପ



8. გეგულე

თანამედროვე კოლექტი

29074



სახელმწიფო 1929 ფოლიცი

დაბეჭდილია პ. ტ. მე-3
სტამბაში. შეკვ. № 2282.
მთავ. № 1186. ტირ.—3000.

შ ე ს ა ვ ა ლ ო

პოლონეთი ოდესალაც დამოუკიდებელი „რეჩი პას-
პოლიტას“ საშეფო იყო. ავსტრიის, რუსეთის და გერმა-
ნიის ძელი იმპერიალიზმის განვითარების მსვლელობაში
მან ეს დამოუკიდებლობა დაკარგა. პოლონეთი 1772
წლიდან დამოკიდებული 1795 წლამდი მეზობელ კაპიტა-
ლისტურ სახელმწიფოებმა ერთმანეთში სამჯერ დაინა-
წილეს. ხან რუსეთი იყო მისი დანაწილების მოთავე,
ხან პრუსია და ხანაც ავსტრია. მესამე დანაწილების შემ-
დეგ პოლონეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა და იმპერი-
ალისტურ სახელმწიფოების შიგნით მიენიჭა მას ავტონომია,
მაგრამ იმპერიალიზმის განვითარებისა და დამოუკიდებ-
ლობისათვის ბრძოლის პროცესში, ისიც ხელიდან გამო-
ეცალა.

ცნობილ სამ გადანაწილების შემდეგ ყოფილ პოლო-
ნეთის ტერიტორიიდან ყველაზე მსხვილი ლუკმა რუსე-
თის იმპერიას ერგო. 28 მილიონიან სახელმწიფოდან
პრუსიაში 3 მილიონი მცხოვრები მოექცა, ავსტრიაში—
 $4\frac{1}{2}$ მილიონი, დანარჩენი რუსეთის იმპერიაში.

საერთაშორისო იმპერიალისტური ომის დროს,
გერმანიის იმპერიალიზმი პოლონელების თავის მხარეზე
გადასაბირებლად შეპირდა მათ განთავისუფლებას. ეს შე-
პირება იმპერიალისტების დუდუკზე მოთამაშე პოლონელ
ნაციონალისტებმა ხალას ჭეშმარიტებად მიიღეს და ხსე-

წებულ ომის დროს გააჩალეს გერმანიის იმპერიალიზმის
სასარგებლო მუშაობა.

პოლონეთის ფაშისტური დიქტატურის ეხლანდელი
მეთაური პან იოსებ პილსუდსკი, საერთაშორისო იმპე-
რიალისტურ ომის დროს, პოლონელ ლეგიონერებს აგ-
როვებდა გერმანიის მხარეზე. მაგრამ პოლონელ ნაციო-
ნალისტების იმედები მალე დაიმსხვრა, ჯერ კიდევ
ომი არ იყო დამთავრებული, რომ პილსუდსკი თავის
უწყინარ ნაციონალისტობისათვის ციხეში გამოამწყვდი-
ეს. პოლონეთის განთავისუფლებას ის გერმანიის ციხის
ოთხ-კედელშუა გამომწყვდეული შეხვდა.

პოლონეთის ნაციონალისტებში პოლონეთის განთა-
ვისუფლებამდი, ორი მიმდინარეობა არსებობდა. ერთი
მიმდინარეობა გერმანიის ორიენტაციას იზიარებდა და
მისგან მოელოდა განთავისუფლებას და მეორეს სამთა შე-
თანხმების და უმთავრესად საფრანგეთის იმედი ქონდა.
ორივე ჯურის ნაციონალისტების იმედი ქვიშაზე აგებუ-
ლი საჭმე გამოდგა. გერმანიის იმედი, მისი საერთაშო-
რისო ომში დამარცხებამდი დაიმსხვრა. ცხადია, სამთა-
შეთანხმების გამარჯვების და ამ შეთანხმებაში მეფის რუ-
სეთის ყოფნის შემთხვევაში, პოლონეთის მეფის რუსეთს
ვერავინ წაართმევდა, იმ რუსეთს, რომელიც ომისაგან
მოელოდა არამც თუ ტერიტორიების დაკარგვას, არამედ
სრუტეებისა და სტამბოლის ხელში ჩაგდებასაც კი.

ამგვარად, რომელ მხარესაც არ უნდა გაემარჯვა
პოლონეთი ამით ვერავითარ ხეირს ვერ ნახავდა.

პოლონეთის ის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა, რო-
მელიც მას ამჟამად აქვს, გერმანიისა და რუსეთინ რევო-
ლუციიებით შექმნილი და გამოწვეულია. გერმანიასა, რუ-
სეთსა და ავსტრიაში სამეფო ტახტების დამხობის შემ-

დეგ შესაძლებელი გახდა პოლონეთის დამოუკიდებლობის
გამოცხადება.

მაგრამ ერთიც უნდა აღინიშნოს. ეს ხელსაყრელი
პოლიტიკური მდგომარეობა პოლონეთს, იმ დროს დაუდგა,
როდესაც პოლონეთის მშრომელი ხალხი მუშათა, კლასი
და გლეხობა, პოლონეთის გარეშე სხვადასხვა ფრონტებ-
ზე იყო გახიზნული. ეს გარემოება საბედისწერო და ტრა-
ლიკული შეიქმნა მშრომელ პოლონეთისათვის. ამ გარე-
მოებით სათანადოთ ისარგებლეს იმპერიალისტების ლა-
ქია ნაციონალისტებმა და იმ დროს, როდესაც პოლონე-
თის მუშათა კლასი ავსტრიისა და გერმანიის რიგებში
საფრანგეთ-იტალიის ფრონტებზე და რუსეთის რიგებ-
ში ოსმალეთის ფრონტზე იბრძოდა, პოლონეთის დამოუ-
კიდებელ სხეულს დაეუფლენ წვრილ-ბურუუაზიულ-ნაცი-
ონალისტური პარტიები. შემდეგში ამ ნაციონალისტურ
პარტიებს მოეშველა და ფრონტებიდან დაბრუნებულ რე-
ვოლიუციონურად განწყობილ მუშათა კლასთან ბრძოლა-
ში ზურგი გაუმაგრა ანტანტის იმპერიალიზმა. მას დღე-
საც მხოლოდ და მხოლოდ ანტანტის იმპერიალიზმის
ხიშტი ამაგრებს. მაგრამ იმპერიალიზმი უანგაროთ არა-
ფერს არ აკეთებს. მას ყოველთვის კარგად ახსოვს თავი-
სი თავი და თავისი ინტერესები.

პოლონეთის ეროვნული ქონების უდიდესი ნაწილი
უკვე უცხოელების ხელშია. კაპიტალისტური სახელმწიფო-
ების დახმარება პოლონეთის ნაციონალისტებს არც მთლად
იაფად დაუჯდათ. მაგრამ კაპიტალისტური სახელმწიფოები
სხვა მხრიდაც სარგებლობენ ნაციონალისტური პოლონე-
თით. კაპიტალისტური სახელმწიფოების ერთი ჯგუფი,
მას იყენებს მეორე ჯგუფის და უმთავრესად კი საბჭო-
თა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცნობილია პოლო-

ნეთის დასაჩუქრების ტელავილდოების ფაქტი გერმანიისა და ბალტიის სახელმწიფოების ხარჯზე. ცნობილია ისიც თუ ვინ აიმედებს და აქეზებს პოლონეთს, როდესაც მას საბჭოთა უკრაინისაკენ უჭირავს თვალი.

ხშირად ინგლისისა და გერმანიის იმპერიალიზმი ერთმანეთს ევაჭრებიან და ამ ვაჭრობის საგანია პოლონეთის არსებული ტერიტორია. ამერიკამ, როდესაც უკანასკნელად 1925 წელს სესხი მისცა პოლონეთს პირობად დაუდვა ლოკარნოს ხელშეკრულების გადასინჯვა გერმანიასთან საზღვრების საკითხში. ზოგიერთ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს, პოლონეთის საკითხი ისე გადაწყდება, რომ დამოუკიდებელ პოლონეთს არაფერს დაეკითხებიან.

პოლონეთი დღეს თითქოს რესპუბლიკანური სახელმწიფო — დემოკრატიული კონსტიტუციით. მაგრამ ყველაფერი ეს ქალალდზეა და სინამდვილეში საქმე გვაქვს ყოვლად უცუდეს და უსაზიზლრეს ფაშიზმის ბატონობის ფორმასთან. არავითარი მოქალაქეობრივი თავისუფლება პოლონეთში არ არსებობს. კომპარტია არალეგალურ მდგომარეობაშია, პროფესიონალურად 90 პროცენტი კონფისკაციაქმნილია, გაფიცვა ფაქტიურად აკრძალულია. პროფორგანიზაციებს, თუ მათ რევოლუციონური მოქმედება შეატყვეს, შლიან. სარწმუნოების წინააღმდეგ სიტყვის დაძვრისათვის ხალხს საკატორო ციხეებს უსჯიან. მიწა მემამულებს ეკუთვნის, ქარხნები — კაპიტალისტებს. ნაციონალური უმცირესობანი საშინელ დევნასა და შევიწროებას განიცდიან. ციხეები სავსეა ათასობით გამომწყვდეულ პოლიტიკურ ტუსალებით.

ზოგადი ცნობები

პოლონეთი მდებარეობს საბჭოთა კავშირის დასავლეთით. უკავია 388'328 კილ. ტერიტორია: მოსახლეობის რიცხვი უდრის 30 მილიონს. ჩრდილოეთ-დასავლეთით საზღვრავს გერმანია. პრუსიის საშვალებით აქვს გასავალი ბალტიის ზღვაზე. მისი მოსახლეობა სახელმწიფოებია: ჩრდილოეთით—ლიტვა და სამხრეთით—ჩეხოსლოვაკია. თანამედროვე პოლონეთი შესდგება ყოფილ რუსეთის პოლონეთისაგან, ანუ ყოფილ პოლონეთის სამეფოსაგან, პრუსიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილისაგან: პოზნანის, სილეზიის და გალიციისაგან.

1921 წლის აღწერით პოლონეთში 27.185.000 მცხოვრები იყო. ამჟამად მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის გამო, ეს რიცხვი 30 მილიონს ახდევს. აქედან სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულია $17\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრები, მრეწველობაში—4 მილიონი, ვაჭრობასა და ტრანსპორტში— $2\frac{3}{2}$ მილიონი, კომუნალურ მეურნეობაში—810 ათასი, შინაურ მეურნეობაში—390 ათასი, ჯარში—441 ათასი, სხვა დარგებში— $1\frac{1}{2}$ მილიონი.

პოლონეთი შესდგება 17 საგენერალ-გუბენატორობან, ანუ „სავოევოდსტვოდან“. პოლონეთში სულ 271 მაზრაა, 641 ქალაქი, 12.622 სოფელი (ვოლოსტი).

პოლონეთში კონსტიტუციონური წესწყობილებაა 1921 წ. 17 მარტიდან.

კონსტიტუციით საკანონმდებლო უფლება პარლა-
მენტს ეკუთვნის, რომელიც შესდგება ორ პალატისაგან:
სეიმისა და სენატისაგან. აღმასრულებელი ძალა რესპუბ-
ლიკის პრეზიდენტს ეკუთვნის. პრეზიდენტი და მთავრო-
ბა ფორმალურად კონსტიტუციის ძალით პასუხისმგებე-
ლია პარლამენტის წინაშე, ნამდვილად-კი პრეზიდენტი
პილსუდსკი პარლამენტს პროსტიტუტკების ორგანოს უძა-
ხის და თავის ნებით ითხოვს და იწვევს მას.

სეიმის წევრები ირჩევიან 5 წლით. 4 ფორმულია-
ნი საარჩევნო წესებით. აქტიური საარჩევნო უფლება
ენიჭებათ მოქალაქეებს 21 წლიდან,—პასიური 25 წლი-
დან. სამხედრო მოსამსახურენი საარჩევნო ხმის უფლე-
ბით არ სარგებლობენ.

სენატის წევრებსაც 5 წლით ირჩევენ. სენატის წევ-
რებს ირჩევენ გუბერნიები. სენატის წევრი არ შეიძლე-
ბა იყვეს 40 წელზე ნაკლები ხნის. სენატის წევრთა ამრ-
ჩევლის ასაკიც 30 წლის უნდა იყვეს. სეიმის მიერ მი-
ლებული კანონ-პროექტი გასარჩევად გადადის სენატში.
სენატს უფლება აქვს კანონ-პროექტი არ დაამტკიცოს
და ხელმეორეთ განსახილველად უკანვე დაუბრუნოს სე-
იმს. კანონ-პროექტის სეიმში ხელმეორედ განხილვის შემ-
დეგ ძალაში შედის.

კონსტიტუციით, პრეზიდენტსა და მთავრობას პა-
ლატების მიერ მიღებული კანონების შეჩერება, ან გაუქ-
მება და ან პალატების დაუკითხავათ ახალი კანონების
გამოცემა არ შეუძლიანო, თუმცა სინამდვილეში ამას
პრეზიდენტიც და მთავრობაც ხშირად არღვევს. რესპუბ-
ლიკის პრეზიდენტს ეროვნული კრება, სეიმისა და სენა-
ტისაგან შემდგარი ირჩევს 7 წლით.

ყველაფერი ეს ასეა კონსტიტუციით. ნამდვილად კი პოლონეთში პოლიციისა და აღმინისტრაციის განუსაზღვრელი ბატონობაა. კონსტიტუციონური გარანტიები მხო-



ლოდ ქალალდზე არსებობს. არც სიტყვის, არც პრესის, არც პიროვნების, არც თავისუფლად შეკრების და კავშირის თავისუფლება არ არის. პოლონეთში ღლემდი ძა-

ლაშია ძველი მეფის დროინდელი სისხლის სამართლის კოდექსი. პოლონეთის ციხეებში 1927 წელს 600 ათასი პოლიტიკური ტუსალი იყო გამომწყვდეული, ახლა გაცილებით მეტია. პოლონეთის ციხე, თავისი სასტიკი რეჟიმით, ეს ცოცხალ ადამიანთა სასაფლაოა.

1926 წლის მაისის სახელმწიფო ბრივ გადატრიალების შემდეგ პოლონეთის კონსტიტუციაში ძირითადი ცვლილებები იქმნა შეტანილი. ამ ცვლილებით რესპულიკის პრეზიდენტს მიენიჭა უფლება პალატების მოწვევა დათხოვნისა, წინად კი ეს უნდა გადაწყვეტილიყო თვით პალატების წევრთა ორი მესამედი ხმის უმრავლესობით. პარლამენტის სესიებს შორის პრეზიდენტსა და მთავრობას უფლება აქვს კანონების გამოცემისა. ამგვარად პოლონეთის რესპუბლიკანური პარლამენტი მეფის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უფლებამდი ჩამოაქვეითეს. აგრეთვე გატარდა სამხედრო მართველობის ახალი წესები. ჯარი უშუალოდ პილსუდსკის დაექვემდებარა და პარლამენტს მის საქმეებში ჩარევის უფლება წაერთვა.

პოლონეთის სეიმში წარმოდგენილია 31 პარტიის წარმომადგენლები. გაბატონებულ პარტიათ ითვლება ნაციონალურ-სახალხო კავშირი, ანუ ნაციონალ დემოკრატები. შემდეგი ადგილი უკავია აგრარიების პარტიას. რეფორმისტულ სოციალისტურ პარტიას უკავია მესამე ადგილი.

აღმინისტრატიულის მხრივ პოლონეთი 16 სავოევოლოთ იყოფა, — (ვარშავის გამოკლებით) ვარშავა ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად არის გამოყოფილი. ცენტრალური აპარატი შესდგება შემდეგი სამინისტროებისაგან: გარეშე საქმეთა, სამხედრო, ფინანსების, ვაჭრობა-მრეწველობის, შრომის, საზოგადოებრივ სამუშაოების, მიწადმიქმედების, აგრარულ რეფორმების, იუსტიციის, განათლება-სარწმუნოების და გზათა უწყების. სამინისტროები იყოფა დეპარტამენტებად.

სეიმში 444 დეპუტატია. სენატში 111 წევრი ითვლება; სენატის წევრებს ირჩევს ყოველი სავოევოლო ცალკე.

რუსეთ — პოლონეთის ომი

პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობა კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტურ ფაზისში და ისიც იმპერიალისტების დახმარებით შექმნილი, ცარიელ ქვიშაზე აგებული საქმეა, ნამეტურ ეს ითქმის იმპერიალისტურ ომისა და რევოლიუციების შემდეგ შექმნილ იმ პატარა სახელმწიფოებჩე, რომლის შექმნაში იმპერიალისტურ სახელმწიფოების ერთმა დაჯგუფებამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს. იმპერიალისტებს აქ განსაზღვრული მიზანი ქონდათ და აქვთ.

პოლონეთიც სწორეთ ამგვარი ბუფერული სახელმწიფოა. ჯერ იყო და პოლონეთის განმათავისუფლებლის როლში იმპერატორ ვილგელმის მთავრობა მოევლინა ქვეყანას — შემდეგ ვილგელმი საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალიზმა შესცვალა.

დღევანდელი დამოუკიდებელი პოლონეთი ისეთ პირობებში წარმოიშვა, რომ თავიდანვე დამოკიდებული იყო და ძალიანი მაგრადაც ამა თუ იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოსაგან. ამიტობაც იყო, რომ ის ყოველთვის სხვისი საგარეო პოლიტიკის გამტარებელი იყო და ასეთი თავისი აღარ გააჩნდა. პოლონეთის დიპლომატები ეს დიდი ხაზეინის. პატარა ნოქტებია, ნოქტები ლაქიობის სათანადო სტაჟით.

ამ მხრივ საინტერესო და აღსანიშნავია მისი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება. აქ მას თავისი ერის,

თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიცია უკავია. ინგლისს საფრანგეთის ინტერესებით დაჩრდილულია პოლონეთის ეკონომიკის ინტერესები.

ასეთ პირობებში წარმოიშვა პოლონეთისა და საბჭოთა რუსეთის ომი 1920—21 წელს. საბჭოთა რუსეთი იმ ხანებში მეტად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა: გარედან ის გარშემორტყმული იყო კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბლოკადით, შინ კიდევ საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა. ამას ზედ ემატებოდა რამდენიმე კონტრევოლუციონური ფრონტი: ვრანგელის, კოლჩავის და სხვათა სახით.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა მოინდომა საბჭოთა რუსეთის ასეთი მძიმე მდგომარეობით სათანადოთ ესარგებლათ. სცენაზე გამოიყვანეს პოლონეთი. მისცეს იარალი, ფული, თავისი აფიცირები და სამხედრო ინსტრუქტორები, შეპირდენ საბჭოთა უკრაინას და უკრელგვარომის გამოუცხადებლად შეუსიეს რუსეთს.

საერთაშორისო იმპერიალისტური ომი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. გერმანიის იმპერატორ ვილგელმის ელჩმა მირბახმა მოქ. ა. ლედნიცკის მისცა რწმუნება ყოფილიყო რეგენტთა საბჭოში წარმომადგენლად და დაეცვა იმ პოლონელთა ინტერესები, რომლებიც ცხოვრობდენ გერმანიის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და რომელი ოდესლაც რუსეთის ნაწილს შეადგენდა. ლედნიცკიმ ეს რწმუნება და დავალება ბოროტად გამოიყენა. მან სრულებით არავითარი ყურადღება არ მიაქცია პოლონელ ლტოლვილებისა და სამხედრო ტყვეების საქმეს. პირიქით პოლონეთის მუშებსა და გლეხებს, რომლებიც ომისშემდეგ საბჭოთა რუსეთში მოხვდნენ ყოველმხრივ ხელსაც კი უშლიდა, რომ თავისი სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. თავისი

რწმუნება გამოიყენა სპეციულიანტ პოლონელებისათვის სამა-
სახურის გასაწევად. შემოიკრიბა თავისი გარშემო პოლონე-
ლი ვაჭრები და კომბინატორები და იწყო მათი ინტერე-
სების დაცვა ხელისუფლების ორგანოების წინაშე.

სწორედ იმ ხანებში გერმანიაში რევოლიუციამ იფე-
თქა. იმპერატორი ვილგელმი სამეფო ტახტიდან ჩამოა-
გდეს. ცხადია მისგან გაცემული რწმუნებები, კერძოდ
ლეიდნიცეს მიმართ, გაუქმებულად გამოცხადდა. ცოტა
ხნის შემდეგ თვით პილსუდსკი—მორაჩევსკის მთავრობამ
ეს რეგენტთა საბჭო გაუქმებულად გამოაცხადა.

იმავე ხანებში საბჭოთა რუსეთში ხმა გავრცელდა;
პოლონეთში სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოხდა და
ხელისუფლებას რევოლუციონური მთავრობა ჩაუდგა სათა-
ვეშიო. მაშინ დაშინსკის, პილსუდსკის და მორაჩევსკის
კონტრრევოლიუციონური სახე და ბურუუაზიისადმი ლა-
ქიობა აგრე გამორკვეული არ იყო.

მოსკოვში მცხოვრებ პოლონელ მუშებმა ეს ამბავი
ისე გაიგეს, როგორც რევოლუციის გამარჯვება. არ დაუ-
კადეს ხმების შემოწმებას და მას თავისებურად გამოეხმა-
ურეს. პოლონეთის გადმოხვეწილთა კომიტეტს, იმპერა-
ტორ ვილგელმის მისიის სახით, ლიკვიდაცია უყვეს. საბ-
ჭოთა ხელისუფლებამაც დაადასტურა ეს ლიკვიდაცია.

ეს ამბავი ეუწყა ვარშავის მთავრობას. რუსეთის
მთავრობამ თან წინადადებაც მისცა გამოეგზავნა თავისი
წარმომადგენელი. შემდეგ პოლონეთს წინადადება მიეცა
ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის შესახებ მოლა-
ჰარაკების დაწყებაზე.

პოლონეთის მთავრობას განსაზღვრული მიზანი ქონდა.
ის საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანობაზე სრულებითაც არ
ფიქრობდა. ინგლის—საფრანგეთის იმპერიალისტურ პო-

ლიტიკის გამტარებელს აშის უფლება არც ქონდა. აშა-
ტომ ის საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო წინადადებას დუმი-
ლით და ყურას მიყრუებით შეხვდა.

ამ ხანებში პოლონეთს რუსეთის მიმართ იმპერია-
ლისტურ სახელმწიფოებისაგან სხვა დავალება ქონდა და
არა მშვიდობიანი და ნორმალური ურთიერთობის დამყა-
რება. ეს იყო მძიმე მდგომარეობაში მყოფ რუსეთთან
ომის გამოცხადება. საფრანგეთი ამზადებდა მას ომისათვის
და პოლონეთიც მიზეზს ეძებდა.

ასეთ მიზეზათ გამონახულ იქმნა ბელორუსიის საკი-
თხი. გერმანიის რევოლუციის შემდეგ წამოიჭრა საკითხი
გერმანიის ჯარების მიერ ოკუპაცია ქმნილ ტერიტორიის
განთავისუფლებისა. ოკუპანტების მიზანს შეადგენდა მშვი-
დობიანად გაეჩანაო ნაცარცვი ქონება. ადგილობრივ მც-
ხოვრებლებს წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ ქონ-
დათ. საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო იმპერიალისტურ ჯა-
რების ამ სისაძაგლისათვის გულგრილად ცქერა. წითელ
არმიამ იწყო ოკუპანტების შევიწროვება. ოკუპანტები ნა-
ცარცვი ქონების დატოვებით გაყვანილ იქნენ მინსკის,
გროდნის და ვილენსკის გუბერნიიებიდან. მათი გაყვანის
შემდეგ ამ ტერიტორიაზე გამოცხადდა რევოლუციონური
ხელისუფლება. შემდეგში ეს ხელისუფლება ფედერატიულ
საფუძველზე დაუკავშირდა საბჭოთა რუსეთს.

პანების პოლონეთს მიეცა დავალება ბელორუსიაში
რევოლუციონურ მთავრობის დამკვიდრებისათვის ხელი
შეეშალა. ეს დავალება მით უფრო სიამოვნებით მიიღო
პოლონეთმა, რომ მისი შესრულება ეხებოდა მისი საზღვრე-
ბის გაფართოვებას. ისიც ომის გამოცხადებლად თავისი
სამხედრო ძალებით იჭრება ბელორუსიისა და ლიტვიის
ტერიტორიაზე, იპყრობს ამ გუბერნიებს და აცხადებს იტ

თავის ხელისუფლებას. ლიტვისა და ბელორუსის დროებით რევოლუციონურ მთავრობების და რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარიატის წინადადებას სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესახებ, დუმილით ხვდება, ხოლო თავისი დამპყრობელ მოქმედებას კი განაგრძობს.

იმ ხანებში საბჭოთა რუსეთს ჩრდილოეთის ფონტიდან ინგლისელები უტევდენ, აღმოსავლეთის ფრონტიდან კოლჩაკი, სამხრეთის ფრონტიდან დუტოვი, ერთი სიტყვით მტრებისაგან ყოველმხრივ გარშემორტყმული იყო და ამიტომ წითელი არმია ვერ გაუმკლავდა და ვერ აღავრა პოლონელთის დამპყრობი ჯარები.

პოლონეთს არც ეს აქმაყოფილებს. ის კიდევ უფრო შორსაც მიდის. თავისი აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კიდევ უფრო ანგითარებს და აღრმავებს. ერთ ასეთ სამტრო მოქმედებად ჩაითვლება რუსეთის წითელი ჯვრის მისის წევრთა ამოხოცვა 1919 წ. მიუხედავათ ამისა საბჭოთა რუსეთი მაინც განაგრძობდა პოლონეთთან მშვიდობიანურ პოლიტიკის წარმოებას. მან კიდევ მრავალჯერ მისცა პოლონეთს წინადადება მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკების დაწყებაზე. პოლონეთი ასეთი მოლაპარაკების დაწყებას ყოველთვის დაუნებით გაურბოდა.

პილსუდსკის სულ სხვა მიზნები ქონდა. ის ომზე ფიქრობდა. დუმილით და საქმის გაჭიანურებით დროს იგებდა. გაცხარებულ საომარ მზადებაში იყო.

11 მაის პოლონეთის ჯარებმა სრულიად გაუფრთხილებლად და ომის გამოცხადებლად გადმოლახეს საბჭოთა რუსეთის საზღვრები უკრაინასთან და შეუტიეს კიევს. აიღეს კიევიც, მაგრამ პოლონეთი ამითაც არ დაკმაყოფილდა და კიდევ აქით მოიწევს, მის გაუმაძლარ მაღას მაღა

ფრთხები შეაკვეცა რუსეთის ძლევამოსილმა წითელმა არ-
მიამ. რუსეთის გლეხებმა და მუშებმა იშვიათი გმირობა
გამოიჩინეს. ნამეტურ თავი ისახელა ტრანსპორტის მუშე-
ბმა. ჯარები დაუყოვნებლივ გადმოყვანილ იქნენ უკრაინის
ფრონტზე. პოლონეთის თავზე ხელალებულ იმპერიალის-
ტებს, რომ იტყვიან, კუდით ქვა ასროლიეს და ვარშავის
კარებამდი მისდიეს.

ეს ობი დასრულდა რიგის სამშვიდობო ხელშეკრუ-
ლებით. პოლონეთის ჟინიანობა როგორც იყო გატყდა და
დათანხმდა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე. პოლონეთმა რი-
გის ხელშეკრულებით გაცილებით უფრო ნაკლები მიიღო,
ვიდრე მას რუსეთი სთავაზობდა ომის გამოცხადებამდი.

საინტერესოა ის როლი, რომელიც ამ ომის გამო-
ცხადებაში ითამაშა საფრანგეთმა, გასულ წელს საფრან-
გეთის დეპუტატთა პალატაში კომუნისტ დეპუტატმა კა-
შენმა ფარდა ახადა ფრანგ იმპერიალისტების მაშინდელ
მოქმედებას. იმ ხანებში საფრანგეთის სამხედრო მისიაში (პოლონეთთან) მუშაობდა მოქალაქე ოლივიე დე-ეტშეგო-
ენი. მან დასწერა წიგნი სახელწოდებით პოლონეთი. იქ ვკი-
თხულობთ: პოლონეთი თავს დაესხა რუსეთს ომის გამოუ-
ცხადებლად. მილიარდებით მივეცით ავანსი პოლონეთს
ამ საქმისათვის. საფრანგეთმა პოლონეთს ავანსის სახით
მისცა 1920 წელს 327,500 ვინტოვკა, 2.800 ტყვიის მფრ-
ქვეველი, 42 ათას რევოლვერი, 518 მილიონი პატრონა
1494 ზარბაზანი, 10 მილიონი ყუმბარა, 350 აეროპლანი,
250 ავტომობილი, 800 საბარგე ავტომობილი, 55 საბარ-
გულე ეტლი, აგრეთვე დიდძალი საველე გოსპიტლები,
ამბულატორიები, საცელები მაზარები, სვიტერები და სხვა.
ამის გარდა ფულადი სესხები 1920 წელს 400 მილიონი
ფრანკი, 1921 წელს—400 მილიონი, 1922 წელს—600 მი-
ლიონი ფრანკი, 1923 წელს—400 მილიონი და ამავე წლის
ივნისში კიდევ დამატებით 100 მილიონი ფრანკი.

აწალი თავხედობანი

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის სამსახურში მყოფ პოლონეთს არ შეუძლია, სხვანაირი დამოკიდებულება დაიკავოს საბჭოთა კავშირთან, ვიდრე მას დღეს უკავია.

საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ ამინდს პოლონეთი არც არასოდეს არ ქმნიდა და არც ახლა ქმნის. ასეთი ამინდი პარიზსა და ლონდონში იქმნება. პოლონეთის ფინიერი მანამდი პირში წყალს იგუბებენ და სდუმან, სანამ იმპერიალიზმის დიდი ნაგაზები არ დაიყეფებენ.

ეს გვიჩვენა თუნდაც უკანასკნელ წლების პოლიტიკურმა გართულებებმა. ამ გართულებების შექმნაში დირიჟორის როლი ინგლისის იმპერიალიზმა იკისრა. ინგლისში ყოვლად უცერემონიოდ საელჩოს დარბევა, და შემდეგ დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა საკმაო შეიქმნა. რომ ასეთივე ამბები განმეორებულიყო პარიზსა და პეკინში. კიდევ უფრო მეტიც მოხდა. ინგლისის იმპერიალიზმის საღირიუორო ჯოხს მაკლონალდის მუშათა პარტიამაც ააყოლა ხმა და ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი დაშალა.

ინგლისის ნაგაზების ყეფვა და ლრენა, როგორც კი ჩაწედა ყურში პოლონეთის პატარა ფინიებს, იმათაც ერთბაშად შექმნეს საშინელი წკმუტუნი. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის გაზეთები წაიკითხო, დეპეშათა

სააგენტოს ცნობებს გაეცნო. ისედაც იოლად მიხვდებით რა მოხდება პოლონეთში.

კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციებს მიეცემან ნიშანი ამოქმედებისათვის, გამოცხადდება კონტრრევოლიუციონურ ძალების მობილიზაცია, უვალო შვებულებაში. მყოფებს შტატში ჩარიცხავენ, ორიოდე გროშს მიუგდებენ ისინიც საქმეს იშოვნიან, აიფარებენ ეროვნულ ნიღაბს. მოაგონდებათ დატანჯული თავიანთი სამშობლო, ვითომდა შურისძიების ნიადაგზე მიმართავენ ტერორს საბჭოთა წარმომადგენლების მიმართ.

სცენაზე გამოვა უკრაინის მშრომელი გლეხობის და რევოლიუციონურ პროლეტარიატის მიერ დამიწებული უკრაინის ყოფილი დირექტორიაც. ასპარეზზე გამოიყვანებენ პეტლიურას წამოაყენებენ უკრაინის განთავისუფლების ლოზუნგს. გული აუჩვილდება მგრძნობიარე პილ-სუდსკის საბჭოთა კავშირში დაჩაგრულ უკრაინელებზე.

თუ ინგლის-საფრანგეთი არ არის პოლონეთისადმი უანგარო არც პოლონეთია მათდამი უანგარო და მასაც თავისი თამასუქები გამოაქვს. და დიდი და პატარა სახელმწიფოთა იმპერიალიზმის შეერთებული ანგარიში იგზანება საბჭოთა კავშირის მისამართით. იხსნება პროვეკციის სეზონი. ეძებენ გაძლიერებულად ჩხუბისა და ომის მიზეზს. ასეთი თუ არ არსებობს თხზავენ. ამის სპეცები პოლონეთში ბლომად მოიპოვება.

მეორე მხრივ დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოებიც თავის მდიდარ ქისას თავს ხსნიან. სხვა დროს ძუნწები, ახლა გულუხვობასაც კი იჩენენ. სუსტი და პატარა ერები ვითომდა ეცოდებათ, „დახმარების ხელს“ უწვდიან, სუბსიდიას და ფინანსიურ დახმარებას აძლევენ. დავალებულ მისიას პოლონეთი ცარიელ ჯიბით ვერ

შეუსრულებს პოლონეთი საფრანგეთის იმპერიალიზმის ექლებს აგრე იოლად ვერ მოკრეფს. საჭიროა მაგარი მუშტი.

ვოიძოვი მოქლეს



ვოიკოვი და ჩიჩერინი გარშავის სადგურზე.

ამ მხრივ რამდენიმე საყურადღებო ამბავი მოხდა გასულ წელს. მძიმე ფინანსიური მდგომარეობაში მყოფმა

პოლონეთშა სამხედრო ბიუჯეტი გაადიდა 20 პროცენტით და ჯარის შემადგენლობა 20 პროცენტით. ასევე მოიქცა რუმინიაც. აქაც სამხედრო ბიუჯეტი გადიდებულ იქნა 12 პროცენტით. საიდან, რომელ წყაროებიდან იკითხავს მკითხველი. სამართლიანია ეს კითხვა, ვინაიდან პოლონეთს, რომელსაც გახანგრძლივებული სამრეწველო კრიზისები სულს უხუთავს, ამას სხვის დაუხმარებლად ცხადია ვერ შეიძლებდა.

მაგრამ საერთაშორისო იმპერიალიზმის დახმარება შარტო ამითაც არ ამოიწურება: ფულებს თან მოაყოლებენ ხალხსაც სამხედრო სპეციებს ჯარის ინსტრუქტორებს, დიპლომატებს. ეს უკანასკნელი უმთავრესად საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ძალების გაერთიანების ფრონტზე მუშაობენ. იწყება პატარა სახელმწიფოების დარაზმვა, ორგანიზაციული გაერთიანება, საიდუმლო ხელშეკრულებებით ერთმანეთთან დაკავშირება და სხვა მრავალი. გასულ წელსაც მოხდა ასეთი ამბები პილსუდსკის ერთობ ხშირხშირად ემართებოდა დიპლომატიური ავადმყოფობა. ექიმები მას ხშირად უწერდენ. სამკურნალოდ ბუქარესტის ჰაერს. და ისიც მკურნალობდა და ისვენებდა ბუქარესტში. საფრანგეთის ჯარების მარშალ ფოშსაც შეუყვარდა ბუქარესტი, ისიც ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე რუმინიის ამ დედაქალაქს. და აი ამ ურთიერთი დარბაზობისა და დასვენების შედეგები. რუმინიის ნახევრად ოფიციოზი „უნივერსული“ სწერს:

რუმინეთსა და პოლონეთს შორის პირველი დაკავშირება უკვე მომხდარი ფაქტია. ჩვენი ამოცანა იმაშია, რომ შეუტიოთ რუსეთს და გავმაგრდეთ დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოების მოსვლამდი. ვინაიდან რიცხვობრივად ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით საბჭოთა რუსეთს რა-

თაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენთვის ძვირფასია სამხე-
დრო მასალების, დიდძალ სამხედრო მასალების შოვნა
და შექენა

პილსუდსკი რუმინიაში



რუმინიელ მხედრებს შორის

აქ ლაპარაკია იმ საიდუმლო სამხედრო ხელშეკრუ-
ლებაზე რომელიც პოლონეთ-რუმინიის შორის დაიდვა
და რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღ-
მდეგ. ცხადია ამაში ურევია საფრანგეთის არა მარტო
ხელი, არამედ თავიც და ჯიბეც.

პოლონეთის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამ-
ტრო ნაბიჯებს შორის ალსანიშნავია ვოევოდ იუზეფოვსკის
გამოსვლა უკრაინის საკითხში. ხელისუფლების ოფიცია-
ლურ წარმომადგენელმა გასულ წელს საჯაროდ განაც-
ხდა, რომ საჭიროა სათანადო ზომების მიღება საბჭოთა

უკრაინის პოლონეთთან შესაერთებლათ. ამან დიდი აღ შფოთება და პროტესტი გამოიწვია საბჭოთა კავშირის მშრომელებში.

ნამეტურ დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია უკანასკნელ ამბებმა პოლონეთში, რომ შოხდა საქმე შემდეგში იყო. პოლონეთი საბჭოთა კავშირიდან გარდა-ხვეწილ კონტრ რევოლიუციონერებს და მათ შორის ქართველ მენშევიკებსაც თავზე ხელს ჭსვამს. ქართველ მენშევიკებმა მენშევიკურ საქართველოს წლისთავზე 26 მაისს გამართეს საზეიმო სხდომა. ამ სხდომაზე მიღის პოლონეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი და მონაწილეობას იღებს ზეიმში, ერთგულობაში ეფიცება მათ. პოლონეთის ამ ორგონობამ სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს მუშებსა და გლეხებში. იმათ მოითხოვეს ტფილისში მყოფ ელჩის გაძევება. საქართველოს ყოველ მიყრუებულ კუთხეშიც, კი გაიმართა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები. ასეთი ერთსულოვანი გამოძახილი საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს მუშები და გლეხები მტკიცედ სდგანან თავის ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე და არავის ნებას არ მისცემენ საქართველოს სახელით ვაჭრობისას.

სამხედრო ძალები

პოლონეთი აგრესიული პოლიტიკაზე ჩინების რიცხვი კის სახელმწიფო.. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის კარნახით მას აგრესიული პოლიტიკა უკავია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ბალტი-

1926 წლის საბელმჯიფო ებრივი გადატრიალება



პილსუდსკის ჯარებს პრეზიდენტის სასახლეზე იერიში მიაქვთ. ის სახელმწიფოებისა და გერმანის მიმართაც. ამ აგრესიულ პოლიტიკას აილიერებს სახელმწიფოს სათავეში

მოქცეული ავანტიურისტები პილსუდსკის სახით. პოლონეთის გაბატონებული კლასები სულ მუდამ ომისათვის მზადებაში და მიზეზის ძებნაში არიან. საგარეო ომებიდ ფიქრობენ შინაურ გართულებებისაგან და მწვავე კრიზისებისაგან თავის დახწევას.

პოლონეთი შედარებით პატარა სახელმწიფოა, მაგრამ მას მეტად მრავალრიცხოვანი ჯარი ყავს. მოსახლეობის პროპორციონალურ რიცხვთან შედარებით პოლონეთს $2\frac{1}{2}$ -ჯერ მეტი ჯარი ყავს, ვიდრე საბჭოთა კავშირს, ხოლო ტერიტორიალურ სივრცეზე გადატანით 30-ჯერ მეტი. მაგალითად 1000 მოსახლეზე პოლონეთში მოდის 10 ჯარის კაცი, საბჭოთა კავშირში 4. ერთ კვადრატ კილომეტრზე პოლონეთში მოდის 752 ჯარის კაცი, საბჭოთა კავშირში 26 ჯარის კაცი. ნორმალურ მდგომარეობისა და მშვიდობიანობის დროს სულ პოლონეთის ყავს 320 ათასი ჯარის კაცი. ომების დროს მას შეუძლია თავის ჯარების რიცხვი $1\frac{1}{2}$ —2 მილიონამდი. აიყვანოს, და უკიდურეს საჭიროების შემთხვევაში 3 მილიონამდი.

სამხედრო ვალდებულების კანო-
სამხედრო ვალ- ნით პოლონეთის ჯარში იწვევენ ყვე-
ლებულების კა- ლა მოქალაქეთ, რომელთაც კი შეუს-
ნონი. რულდებათ 21 წელიწადი. ქვეითა ჯარ-
სა და არტილერიაში სამხედრო ვალ-
დებულების ვადათ დაწესებულია $1\frac{1}{2}$ წელიწადი, ცხენო-
სან და ტეხნიკურ ჯარში 2 წელიწადი.

ყველა ის პირები, რომლებსაც მოხდილი აქვთ სამხედრო ვალდებულება 17 წლის განმავლობაში. ირიცხებიან რეზერვში და 10 წლის განმავლობაში სამარქაფო ლაშებისაში.

ოფიცირებს ამზადებენ სამხედრო
ოფიცირები. სკოლებში. სამხედრო სკოლებში იღე-
ბენ უმთავრესად თავად-აზნაურების,
ბურუუების და ინტელიგენტების შვილებს. გლეხებისა და
მუშების მიღება სამხედრო სასწავლებლებში შეზღუდუ-
ლია. თვით ოფიცერთა წრეც ებრძვის თავის წრეში შა-
ვი ხალხის შემოჭრას. ოფიცირობა ხელისუფლების ერთ-
გული ხელია. პოლონეთის ჯარში სულ 18.292 ოფი-
ცერია.

ჯარის დაყო- პოლონეთის ჯარი შესდგება ხმე-
ფვა. ლეთის ჯარისა და საზღვაო ფლოტი-
საგან. ჯარის უმაღლეს სარდლად რეს-
პუბლიკის პრეზიდენტი ითვლება. ჯა-
რის მართვა-გამგეობა კერძოდ სამხედრო მინისტრის
პილსუდსკის ხელშია.

სამხედრო ადმინისტრატიული მხრივ პოლონეთი და-
ყოფილია 10 საკორპუსო ოლქად. თვითოეულ ოლქის ჯა-
რებს სათავეში უდგიათ ოლქის უმაღლესი სარდლები.
თვითოეულ ოლქის კორპუსში შედის 3 ქვეითა დივიზია,
1 მძიმე არტილერიის პოლკი, 1 სასანგრე პოლკი, 1 ავ-
ტო-დივიზია და სხვა დამხმარე ნაწილები.

მობილიზაციასა და ჯარში გაწვევის საქმეს განა-
გებს სამაზრო კომენდატურები.

ფეხოსანი ჯა- პოლონეთის ჯარების უმთავრეს
რი. ჯგუფს ფეხოსანთა ნაწილები წარმოა-
დგენენ. ფეხოსნების სამხედრო მომზა-
დებას უდიდესი ყურადღება ექცევა.
ფეხოსნებში ყველაზე მსხვილ გაერთიანებათ დივიზია
ითვლება. თვითოეულ დივიზიაში სამი პოლკია.

სულ ფეხოსნები რცდა-ათ დივიზიას (სამ პოლკის
გამოკლებით) შეადგენენ. ფეხოსნებს ყავს მსუბუქი
არტილერიის პოლკი. პოლკები თავის მხრივ იყო-
ფა ბატალიონებათ, როტებათ და სხვა. პატარა ერთეუ-
ლად ითვლება ვზვოდი. მასში ერთი ოფიცერი და 54
ჯარისკაცია. განყოფილებაში კი—13 ჯარისკაცი და ერ-
თი უფროსი.

**ცხენოსანი
ჯარი.**

პოლონეთის სულ 4 დივიზია ცხე-
ნოსანი ჯარი ყავს. თათოეულ დივიზია
აში 6 პოლკია და 5 ცალკე ცხენოსან-
თა ბრიგადა. პოლონელები დიდ ყუ-
რადლებას აქცევენ ცხენოსან ჯარს. რუსეთან 1920 წელს
ომის დროს, დარწმუნდენ ცხენოსან ჯარის დიდმნიშვნე-
ლობაში.

ისინი ცხენოსან ჯარს თანდათანობით აძლიერებენ.
ეს საბჭოთა კავშირის წინააღმდევ საომარი მზადების ერ-
თი საუკეთესო მაჩვენებელია. ცხენოსანი ჯარის გაძლი-
ერებას მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში
ექნება გამართლება. ცხენოსანი ჯარი, საერთოდ მთე-
ლი ჯარის 12 პროცენტს შეადგენს.

**ხაზის ესკა-
დრონი და არ-
ტილერია** პოლონეთის ჯარს შეადგენს აგ-
რედვე ერთი ხაზის ესკადრონი და
არტილერისტთა ერთი პოლკი. ესკად-
რილში ოთხი ვზვოდია, ვზვოდში 4
განყოფილება, მათში 1 სატყვიისმფრ-
ეველო და სამი სახაზო.

ცხენოსნები შეიარაღებულნი არიან კარაბინებით,
ხმლებით, ტყვიისმფრქვეველებით და სხვა.

არტილერია იყოფა პოლკებათ. პოლკი იყოფა მსუბუქ, მძიმე, სამთო, ცხენოსან და სხვა ნაწილებათ. არტილერიის პოლკს გააჩნია 36 ზარბაზანი, 24 ტყვიის-მფრქვეველი და 12 გაუტიცი.

ომისთვის მჯადება




ქალებს ამზადებენ სამზედრო სამსახურისათვის

შეიარაღება და პოლონეთის ჯარები ერთნაირი იარაღით არ არიან. შეიარაღებულნი. **ტეხნიკა.** პილსუდსკიმ ას გარემოებას ყურადღება მიაქცია და შეუდგა ყველა ჯარებისათვის ერთფეროვან იარაღის შემოღებას.

მსროლელი პოლკები შეიარაღებულია კარაბინებით, ვინტოვკებით, ხელით-სასროლ, მსუბუქი და მძიმე ტყვიისმფრქვეველებით, ფეხსანთა ზარბაზნებით, ყუმბარის-მფრქვეველებით და სხვ. ჯარის ყველა ნაწილებს ერთი

სისტემის ვინტოვკები არა აქვთ. უმთავრესად გავრცელებულია ბერტეს და მაუზერის სისტემის ვინტოვკები. ვინტოვკებს დანის მზგავსი ხიშტები აქვთ. ერთი სისტემის არც ტყვიისმფრქვეველებია. არის როგორც მაქსიმის ისე ნემეცური, გოჩისის, კოლტის, ლიუსის და სხვა სის.

ომისთვის მჯადება



ქალებმა უნდა შესცვალონ შტაბის მწერლები

ტემის ტყვიისმფრქვეველები. პოლონეთის ჯარებს ვინტოვკები და ტყვიის-მფრქვეველები არამც თუ უკეთესი აქვთ საბჭოთა კევშირის ჯარებზე, არამედ ზოგჯერ უცუდესიც.

მსუბუქ არტილერიის შეიარაღებას შეადგენს: 75 ფრანგული ზარბაზანი და 100 ავსტრიული გაუბიცა. მძიე არტილერიის: 105 ზარბაზანი და 155 გაუბიცა. ცხენოსანი არტილერიის -- 76 რუსული სისტემის ზარბაზანი.

საპერო პოლონეთს ძლიერი საპერო ფლო-
ფლოტი. ტი ყავს. საპერო ფლოტის მშენებ-
ლობის საკითხები უდიდესი ყურად-
ღების და ზრუნვის საგანია. ამ საქმეზე
მეტად დიდძალი თანხები იღება და იხარჯება.

საავიაციო მრეწველობა თვით პოლონეთში ჯერ-
ჯერობით ძალიან სუსტად არის განვითარებული. ამი-
ტომ პოლონეთს აეროპლანების შესყიდვა უხდება უმთავ-
რესად საფრანგეთში. 1927 წლისათვის პოლონეთის ჯა-
რებს ქონდათ 300 მწყობრი თვითმფრინავი და 1.100
სამხედრო თვითმფრინავი. პოლონეთს იმდენი აეროპლა-
ნები ყავს, რამდენიც რუმინიას, ფინლანდიას, ლიტვას,
ესტონიას, ლატვიას და სხვებს ერთად. პოლონეთის ავი-
აცია იყოფა პოლკებად და პოლკები თავის მხრივ დივი-
ზიებათ და რაზმებად.

**ჯარის საჯავა-
შნოსნო ნაწი-
ლები,** პოლონეთის ჯარს აქვს აგრედვე
ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები და
მატარებლები. ტანკების რიცხვი ორა-
სამდი ახწევს. ყველანი ფრანგული რე-
ნოს სისტემის ტანკებია. ჯარის გან-
კარგულებაშია—10-15 ჯავშნოსანი მატარებელი. ჯავშ-
ნოსან ავტომობილების რიცხვი ძალიან უმნიშვნელოა.

საზღვაო პოლონეთის საზღვაო ფლოტი ძა-
ფლოტი. ლიან სუსტი და უმნიშვნელოა. ძლი-
ერი საზღვაო ფლოტის შესაქმნელად
მას საჭირო ნივთერი საშუალებები
არ გააჩნია. მისი საზღვაო ფლოტი შესდგება სულ 5 სა-
შუალო ზომის ნაღმოსანისაგან და რამოდენიმე მეორე

ხარისხოვან გემებისაგან. წყალ-ქვეშა მავალი ნავები ჯერ ჯერობით პოლონეთს არ გააჩნია. ასეთები შას შეკვე თილი აქვს საფრანგეთში.

ამ მხრივ ის საფრანგეთისა და ინგლისის ძლიერი ფლოტის დახმარების მოიმედეა.

საოზარი მომზა- ამ მხრივ პოლონეთი სავსებით სა-
დება და სამხედ- ფრანგეთის გავლენის ქვეშ იმყოფება.
რო სწავლა სამხედრო სწავლება და საოზარი მზა-
დება საფრანგეთის წესების მიხედვით
სწარმოებს. შინაგანი წესდებები და ინსტრუქციები შედ-
გენილია ფრანგული წესდების ზეგავლენით.


პოლონეთის ჯარების სამხედრო წვრთნას უშუალო ხელშძლვანელობას უწევს საფრანგეთის სამხედრო მისია, რომელიც მუდმივად პოლონეთში იმყოფება და რომელიც ფხიზელ თვალყურს ადევნებს პოლონეთის ჯარების მო-
მზადების საქმეს. პოლონეთის ჯარების საშუალო და უმაღლესი სარდლობა სამხედრო განათლებას საფრანგეთ-
ში იღებენ. თვით პოლონეთის სამხედრო აკადემიაში უმთავრეს სამხედრო საგნებს ფრანგულ ენაზე კითხულო-
ბენ და სწავლობენ.

პოლონეთის ჯარში ჯარების ომისათვის მომზადებას უდიდესი ყურადღება ექცევა. ყოველ ნაწილში გაძიერე-
ბული სამხედრო მეცადინეობა სწარმოებს. პოლონეთის ჯარების მომზადება საკმაო მაღალ დონეზე სდგას.

ჯარის კვება გამოკვების მხრივ პოლონეთის ჯა-
რი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობა-
ში იმყოფება. ჯარისკაცი ფულადათ ლებულობს თვეში
17 კაპიკს. დღე-ლამის განმავლობაში საკვებათ ეძლევა.
მას: $2\frac{1}{2}$, გორვანქა პური, $\frac{5}{8}$ გირვანქა ხორცი, $\frac{1}{8}$ გირ,

ქონეულობა, $1\frac{3}{4}$ გირვანქა კართოფილი, $\frac{1}{2}$ გირფანქა
ნედლი ბოსტნეული და სხვა.

ომისთვის მზადება



ქალებმა უნდა შესცვალონ მეფურნეები

ჩაცმა-დახურვა ჯარის კაცს ეძლევა შალის მაზარა
სამი წლის განმავლობაში სატარებლად.
შალის გიმნასტიორქა წელიწადში ერთი ცალი, შალის
შარვალი (6 თვე) საზაფხულო შარვალი (1 წელიწადი)
ქუდი, ხელთათმანი, ფეხსაცმელები (6 თვე) 3 წყვილი სა-
ცვალი, პირსახოცი, ცხვირსახოცი, ზეწარი და სხვა. თი-
თოეული ჯარისკაცის შენახვა ოფიციალური გამოანგა-
რიშებით ჯდება. წელიწადში 548 მანეთი.

უფლებრივი უფლებრივი მდგომარეობის შხრივ
მდგომარეობა პოლონეთის ჯარის კაცი მეტად მძიმე
უფლებები არ გააჩნია, ის სავსებით აფიცრის ბატონო-

პის ქვეშ იმყოფება. პოლონეთის ჯარისკაცი, როგორც
სამსახურში, ისე სამსახურს გარეშე, ყოველგვარ ელემენ-
ტარულ უფლებას მოკლებულია. უფროს-უმცროსებში არ
არის ამხანაგური განწყობილება. დისციპლინის მთავარი
ფაქტორი როზგი და მათრახია და არა შეგნება და პოლი-
ტიკური თვითცნობიერება. აფიცრები ჯარისკაცებს ისე
უყურებენ, როგორც დაბალ რასის წარმომადგენლებს.
თუმცა წესდებით აკრძალულია, მაგრამ ძალიან გავრცე-
ლებულია ჯარისკაცთა ცემა. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა
პოლონეთის და საბჭოთა ჯარებს შორის.

სახოგადოებასთან დამოკიდებულება ჯარისკაცებს
აღკვეთილი აქვთ. ბურუუაზია მკაცრი ყაზარმული რეჟი-
მით მიზნად ისახავს ჯარისკაცი გარდაქმნას თავის მიზ-
ნისათვის ბრძოლაში ყურმოჭრილ მონად და გამგონე ია-
რალად. მღვდლები და აფიცრები ჯარისკაცებს უნერგა-
ვენ ღვთისადმი შიშს, უფროსისადმი უყოყმანო მორჩი-
ლებას და ბურუუაზიულ სამშობლოსადმი სიყვარულს.

შეგნებულ ჯარისკაცებს მიმართ სასტიკ რეპრესიებს
მიმართავენ. რევოლიუციონურ მოძრაობისადმი თანა-
გრძნობისთვის ციხეში ალპობენ ჯარისკაცებს და ზოგ-
ჯერ ხვრეტენ კიდეც.

მიუხედავად ასეთი სასტიკი რეჟიმისა და მკაცრი
რეპრესიებისა პოლონეთის ჯარი ზოგჯერ მაინც იჩენს
ურჩიბას. 1923 წელს კრაკოვში მდგარი ჯარის ნაწილე-
ბი მიემხრო რევოლიუციონურ მოძრაობას და შეუერთდა
აჯანყებულ მუშებს.

პოლონეთის ჯარის შემადგენლობაში არა პოლონე-
ლები მეტად დიდი პროცენტია. ბელორუსებს უკრაინე-
ლებს და ებრაელებს თავისი ტერიტორიის ჯარებში არ

ამყოფებენ. შათ აგზავნიან შიდა პოლონეთში, პოლონელებით დასახლებულ რაიონებში.

1929—1930 წლის ბიუჯეტში
სამხედრო ბიუ- 2,636,000,000 ზლოტიდან სამხედრო

ჯეტი. ბიუჯეტზე მოდის 814,000,000 ზლოტი, ანუ მთელი გასავლის 31 პროცენტი, მაშინ როდესაც ინგლისში სამხედრო საქმეებზე იხარჯება მხოლოდ ბიუჯეტის საერთო თანხის 15 პროცენტი, საფრანგეთში 21 პროცენტი. სამხედრო საქმეებზე ხარჯი, როგორც ეს სეიმის საბიუჯეტო კომისიაში დეპუტატ კასციალევსკიმ განაცხადა წელს შედარებით გასულ წელთან გადიდებულია 54,416,615 ზლოტით. სამხედრო საქმეებზე ხარჯს ეწევა სხვა ღწევებიც. მაგალითად ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს თავის ხარჯით გახსნილი აქვს საზღვაო სკოლა. ესევე სამინისტრო ხარჯავს დიდძალ თანხებს სტრატეგიულ მნიშვნელობის რკინის გზების გასაყვანად. ასე რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 50 პროცენტი იხარჯება სამხედრო საქმეებზე.

გარდა რეგულიარულ ჯარისა პოლხალისეთა ლონეთში არსებობს მრავალ რიცხოვანი ორგანიზაციები პოლიცია და მოხალისეთა სამხედრო ორგანიზაციები. იტალიის ფაშისტების გაზეთის „ფარცე არმატეს“ ცნობით პილსუცის თავის განკარგულებაში ყავს ფაშისტური ორგანიზაციები, რომლის წევრები საუკეთესოდ არიან შეიარაღებულნი და ეწევიან სისტემატიურ სამხედრო წვრთნას.

აგრეთვე რეგულიარულ ჯარის შემადგენლობაში არ შედის. საზღვრების დამცველთა 12 ათასიანი კორპუსი და საბაჟოების მცველი 6 ათასი ჯარისკაცი.

თეთრგვარდიელები

პოლონეთში თავისუფლად სცხოვრობენ და მუშაობენ რუსეთიდან გადახვეწილი თეთრგვარდიელობა. იმათ აქვთ თავიანთი საკუთარი ორგანიზაციები; რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. დრო გამოშვებით ეს ორგანიზაციები საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართავენ ტერორს იმათი ტერორის მსხვერპლი შეიქნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. პოლონეთში ამხ. ვოიკოვი. იმათვე თავს დაესხენ მოკვლის მიზნით საელჩო თანამშრომელს ამხ. ტრაიკოვიჩს და ყუმბარა ესროლე ამხ. ლიზარევს. თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები კიდევ უფრო შორსაც მიდიან. ისინი აქეთაც გვიგზავნიან ხიდების და ქარხნების ამფეთქებლებს და ტერორისტებს.

ყოველივე ეს ხდება ლიად, საჯაროდ, ყველას და სანახავად. საბჭოთა კავშირთან ვითომდა კეთილმეზობელურ განწყობილებაში მყოფი პოლონეთის მთავრობა მათ არამც თუ ებრძვის, არამედ ყოველმხრივ ეხმარება საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას, რომ ლიკვიდაციურის პოლონეთში თეთრგვარდიელთა ტერორისტულ ორგანიზაციებს, ის ყურადღებას არ აქცევს. ამ მხრივ პოლონეთის მთავრობა ყოველთვის მიკიბულ-მოკიბულ პასუხით გვიმასპინძლდება და სრულ საბოტაჟს იჩენს. წ

ზარევის თავდამსხმელს ვოიცეხოვს გასულ წელს სასჯელიც
კი შეუმსუბუქდა. სასამართლოს პროცესზე ვოიცეხოვის
დამცველებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საზიზლარი
ჭორები ილაპარაკეს. პოლონეთის მთავრობის წარმომად-
გენლებმა ეს დამცველები ერთხელაც კი არ შეაჩერეს.

წელს ბალტიის სახელმწიფოებთან ერთად პოლო-
ნეთმაც მოაწერა ხელი მოსკოვის ცნობილ ოქმს ერთ-
მანეთზე თავდაუსხმელობის შესახებ. მან მალე დაი-
ვიწყა ეს ხელის მოწერა და პოლონეთის პრესა პოლონე-
თის მთავრობის დახმარებითა და სრული თანაგრძნობით
ამ უამადაც საზიზლარ ცილისწამების კამპანიას ეწევა სა-
ბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რევოლუციონერების დევნა

პოლონეთში პოლონეთის ხელისუფლების მიერ სასტიკად დევნილია რევოლუციონერები. რევოლუციონერების წინააღმდეგ მიმართავენ სასტიკ ტერორს და რეპრესიებს. ციხეები სავსეა რევოლუციონერებით. ხელისუფლების სათავეში მდგომნი ვერ ურიგდებიან და იტანენ თავისუფალ აზროვნების უბრალო გამოხატულებასაც კი. პოლონეთის საზღვრებიდან გააძვევს პოლონეთის პროლეტარი მწერალი იასენსკი. პოლონეთის დევნილი რევოლუციონერები და თავისუფალი მოაზროვნები უმთავრესად საბჭოთა კავშირს აფარებენ თავს. ამას წინად საბჭოთა კავშირმა ტუსალთა გაცვლის წესით მიიღო თავის ტერიტორიაზე პოლონელ რევოლუციონერთა ერთი ჯგუფი.

სამაგიეროდ დიდი თავისუფლებით სარგებლობენ პოლონეთში მორწმუნეთა ორგანიზაციები. ხელისუფლება ამ ორგანიზაციებს ყოველგვარ დახმარებასა და ხელისუწყობას უჩენს. რამდენიმე ხნის წინად პოლონეთში შეიკრიბა სასწაულ მომქმედთა ყრილობა. ხალხის ამ აშკარა და უსირცხვილო მატყუარებს მუშაობისა და მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ. მთავრობა იმაშიაც კი არის დაინტერესებული, რომ მათი მუშაობა გაძლიერებულ იქმნას.

მ კ ა ნ ი მ ი კ ა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

ზოგადად პოლონეთის სახალხო მეურნეობის
სისტემაში მრეწველობის ხვედრითი წონა
დიდი არ არის, ის 14,8 პროცენტს შეადგენს.

პოლონეთის მრეწველობას მრავალი განსაკუთრებული პირობები აქვს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი მჭიდრო დამოკიდებულება სასოფლო მეურნეობასთან. მოუსავლიან წლებში მრეწველობა მძლავრ კრიზისს განიცდის. ექსპორტის 60 პროცენტსაც სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები შეადგენს.

პოლონეთის მრეწველობის მეორე განსაკუთრებული პირობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დღევანდელი მრეწველობა შექმნილი იყო სულ სხვა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ვიდრე დღეს აქვს მას. ოდესალაც ის ვითარდებოდა ავსტრიის, გერმანიის და რუსეთის ბაზრების მიხედვით. ლონდის და ვარშავის მრწველობა მხოლოდ რუსეთის ბაზრის ანგარიშზე იყო აგებული. ასევე იყო სილეზიისა და გალიციის მრეწველობაც. დღეს პოლონეთის თანამედროვე მრეწველობას ეს ბაზრები დაკარგული აქვს. პოლონეთის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა ამ სახელმწიფოებისადმი ხელს უშლის მათთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. ეს კი იწვევს და ქმნის მრეწველობის მძიმე და ქრიზი-

კულ კრიზისს. ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ სილეზიის ლიონის ქარხნების საწარმოო ნაყოფიერება ამ უამაღ შეადგენ 60 პროცენტს იმისას, რაც იყო 1913 წელს. კელეციისა და კრაკოვის ქარხნების საწარმოო ნაყოფიერება კიდევ უფრო ნაკლებს—40 პროცენტს. პოლონეთში 1913 წელს 464 ათას ტონა რკინას ამუშავებდენ, ე. ი. ამოლება ამ უამაღ უდრის 68 პროცენტს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობას განიცდის ლითონის სხვა დარგის წარმოებებიც.

ამას იწვევს არა მარტო დამზადებულ საქონლის ბაზრის სივიწროვე, არამედ საქონლის დამზადებისათვის საჭირო ნედლი მასალის უქონლობაც. ლითონის წარმოების გაძლიერება გაფართოვებისათვის მიუკილებელია შავი ქვა, მაღალ ხარისხოვანი რკინა, რკინის ძალაყინი და სხვა. ეს მასალები მრავლად მოიპოვება მის მეზობელ სახელმწიფოებში.

ლითონის წარმოება პოლონეთში ლითონის წარმოება უმთავრესად 3 სავოევოდოშია. გავრცელებული: სილეზიის, კელეციის და კრაკოვის. განსაკუთრებით სილეზია მდიდარია ლითონის მრეწველობით. 1926 წელს მთელ პოლონეთში დამუშავებულ იქმნა 327 ათასი ტონა თუჯი, 562 ათასი ტონა რკინა და 788 ათასი ტონა ფოლადი თუჯის მთელი პროდუქციის 82 პროცენტი დამუშავებულია სილეზიაში, რკინის 67 პროცენტი და ფოლადის 64 პროცენტი იქვე.

რკინის მაღანს ამუშავებენ ლოძის კელეციის და სილეზიის სავოევოდოში. თუ როგორ დაეცა რკინის მაღნის დამუშავება ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

რკინის მაღანის ამოლება

წ ლ ე ვ ბ ი	ამოლება ათას ტონებში	პროც. შე- ფარდება ამ. წის. დროს.	მუშათა რიცხვი
1913	—	464	100
1922	—	405	86
1923	—	449	96
1924	—	292	63
1925	—	212	46
1926	—	314,6	68

პოლონეთის ლითონის მრეწველობა გაცილებით მეტი რაოდენობის რკინის მაღანის საჭიროებს, ვიდრე ამას ამოლება იძლევა. პოლონეთში მოდის უმთავრესად დაბალი ხარისხის მაღანი. მაგრამ პოლონეთს შემოაქვს როგორც დაბალი ისე მაღალი ხარისხის მაღნები. 1925 წელს დაბალი და მაღალი ხარისხის მაღანი შემოიტანა 259 ათასი ტონა, 1926 წ. 203 ათასი ტონა. საუკეთესო ხარისხის მაღანი შემოაქვს უმთავრესად შვეციიდან ($36,4\%$) შემდეგ საბჭოთა კავშირიდან (32%) და გერმანიდან ($14,6\%$). ეს იყო 1925 წელს. 1926 წელს საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა მაღანის შემოტანაში 38 აროცენტამდი გაიზარდა. ძველად ყოფილი რუსეთის პოლონეთის ქარხნები მხოლოდ რუსეთის მაღანით მუშაობდა.

ლითონის მრეწველობას პროდუქციის ლირებულებით ერთი უმთავრესი აღვილთაგანი უკავია.

ლითონის გადამუშავებისა და სასაშანებანო წარმოება საერთაშორისო იმპერიალისტურ ომის დროს ძლიერდაზღალდა. რუსეთის ჯარების უკან დახევის დროს მისი ერთი ნაწილი გადატანილ იქმნა რუსეთის შიდა გუბერნიებში. დარჩე-

ლითონის გადამუშავებისა და სასაშანებანო წარმოება საერთაშორისო იმპერიალისტურ ომის დროს ძლიერდაზღალდა. რუსეთის ჯარების უკან დახევის დროს მისი ერთი ნაწილი გადატანილ იქმნა რუსეთის შიდა გუბერნიებში. დარჩე-

ნილ ნაწილს გერმანელები დაეპატრონენ და მისი ნედლე ული და დაზგები გაზიდეს.

1921 წლის 1 აპრილისათვის არსებობდა 618 ლი. თონის გადამუშავებელა სამანქანო წარმოება. ამ წარმოებებში მუშაობდა 70 ათასი მუშა ხელი. იმავე წელს წარმოება 100-ის და მეტი მუშა ხელით იყო 136,—საერთოდ 50787 მუშა ხელით.

ლითონის წარმოების უმთავრესი დარგია ვაგონუბისა და ორთქლმავლების წარმოება და აგრედვე ლითონის დამუშავებისათვის საჭირო დაზგების წარმოება. წარმოების ამ დარგებში სულ მუშაობს 20 ათას კაცამდი.

საერთოდ ლითონის დამამუშავებელი წარმოება პოლონეთში იმდენად დაჭვეითებულია რომ ის შანაურ ბაზრის მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს და მას უცხოეთიდან დიდძალი ლათონის საჭირელი შემოაქვს.

ქვანახშირის წარმოება პოლონეთის ქვანახშირის წარმოების რაიონებია სილეზია დომბროვი და კრაკოვი. ყველაზე მეტად ქვა-ნახშირის

რის წარმოება განვითარებულია სილეზიაში. საერთო ამოღებულ ქვანახშირის 73 პროცენტი სილეზიაზე მოდის ქვანახშირის წარმოებას პოლონეთის სახალხო მეურნეობის სისტემაში მნიშვნელოვანი აღგილი უკავია. სამრეწველო პროლეტარიატის 20 პროცენტი წარმოების ადარგში მუშაობს. საგარეო ვაჭრობაშიაც ერთი პირველი აღგილთაგანი მას ეკუთვნის.

თუ როგორია ქვანახშირის წარმოების მდგომარეობა და უმჯობესდება მისი საჭმე თუ არა, ამას შემდეგ ცხრილი გვიჩვენებს.

ქვა-ნახშირის დამუშავება და წარმოებაში დაბანდე
ბული მუშა ხელი:

წლები	ამოღება ათას ტონებში	კოცენტრაცია	საჭირო მუშა დანადგ ების მიზან და მუშა ხელი
1913 წ.	40,727,5	100	120,5 ათასი
1923 „	36,098	89	217 „
1924 „	32,225	79	179,7 „
1925 „	29,081	71	116,4 „
1926 „	35,786	88	113,9 „

როგორც ამ ცხრილიდან დაინახავთ განსაკუთრებით ორ წელს მიღახლოვდა ქვა-ნახშირის ამოღება 90 პროცენტს. ეს გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით. 1923 წელს პოლონეთის ფულის კურსი ძალიან დაცემულიყო. ამიტომ უცხოელებისათვის დიდათ ხელსაყრელი შეიქნა სიაფის გამო პოლონეთის ქვა-ნახშირის შეძენა. 1926 წელს კი ქვა ნახშირის ამოღების გაძლიერებას ხელი შეუწყო ინგლისის სამთომაღნო მუშების გაფიცვამ.

ქვა-ნახშირზე შინაური მოთხოვნილება ძალიან მცირეა. ამოღებულ ქვა-ნახშირის ნახევარსაც კი არ საჭიროებს შინაური ბაზარი. ქვა-ნახშირის ამოღება 1926 წელს—35 ათას ტონს აღემატებოდა, შინაური ბაზრის მოთხოვნილება 16-17 ათას ტონას არ აცილებია. ქვა-ნახშირი უმთავრესად საექსპორტო საქონელია.

პოლონეთის აგრესიული პოლიტიკა ზოგიერთ სახელმწიფოების მიმართ, მიზეზია პოლონეთის შავი-ქვის ექსპორტის განუვითარებლობისა. პოლონეთი პირველ

ხანებში ამ მხრივ შედარებით მაინც იოლად გადიოდა: ამაში მას დაეხმარენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებმა ვერსალის ხელშეკრულებით გერმანია დაავალდებულეს პოლონეთიდან შეეტანა უბაჟოთ ექვსი მილიონი ტონა. შავიქვა. 1925 წელს გერმანიისათვის ძალით თავზე მოხვეულ ამ ვალდებულებას ვადა გაუვიდა. სწორედ ამ ხანიდან იწყება ქვა-ნახშირის ექსპორტის შეფერხებაც.

ამის გამო პოლონეთი იწყებს თავის ქვა-ნახშირისათვის ახალი ბაზრების ძებნას. ის ცდილობს თავის საქონლის გასაღებას ჩეხოსლოვაკიასა, სამხრეთ-სლავიასა, დანიასა, იტალიასა და შვეციაში. პოლონეთის მთავრობა ექსპორტის საქმის წასახალისებლად ქვა-ნახშირის მწარმოებლებს გადასახადების მხრივ ანიჭებს მთელ რიგ შეღავათებს. ამავე მიზნით გაიაფებულ იქმნა რკინისგზის ტარიფი. ამ ღონისძიებების მიღებამ კრიზისი მაინც ვერ გააქრო, ის უფრო ღრმა შეიქმნა.

1926 წელს, გაძლიერდა ქვა-ნახშირის ექსპორტი პოლონეთიდან არა მარტო ინგლისში, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც, რაც აიხსნება, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ინგლისის სამთომაღნო მუშების გაფიცვით. ეს შემთხვევითი მოვლენა იყო. 1927-28 წლებში ინგლისის ქვა-ნახშირის წარმოებამ, როგორც თავის ბაზრიდან, ისე სხვა სახელმწიფოების ბაზრებიდანაც განდევნა პოლონეთის ქვა-ნახშირი.

ნავთის წარმოება. კარპატის მთების დაბლა, ყოფილ გალიციის ტერიტორიაზე, ქალაქ ლვოვის მახლობლად მდებარეობს ნავთის სამრეწველო რაიონები. ნავთი მდებარეობს ძალიან დიდ სილრმეზე, ზოგიერთ აღგილას 1.800

ექტრის სილრმეზე. ეს გარემოება ძალიან აძვირებს ნავთის ამოღებას და უცხოეთის ბაზარზე კონკურენციის ჭრას უკარგავს მას.

წარმოების ეს დარგიც შედარებით ომის წინანდელ დროსთან ძალიან დაცემულია. ომის მაჩვენებელია შემდეგი ცხრილი:

ნავთის ამოღება და მუშა ხელი.

წლები	ამოღება ათას ტონებში	არატოლი არატოლი	მუშა-ხელი ათასში
1913 წ.	1,113	100	8,6
1924 „	771	69	10,9
1925 „	812	73	10,3
1922 „	796	71	9,2

პოლონეთში მრავლად არსებობს ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები. სულ 30 ქარხანა მუშაობს. მათ შეუძლიათ 1.200 ტონა ნავთის გადამუშავება. ამიტომ არის, რომ ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები 50 პროცენტის დატვირთვით ძლივს მუშაობენ, მთელ ევროპაში ერთ საუკეთესო ნავთის გადასამუშავებელ ქარხანად ითვლება დრობიჩის ქარხანა. ის პოლონეთის მთავრობას ეკუთვნის. მუშაობს მხოლოდ 50 პროცენტის დატვირთვით.

ნავთის ნაწარმოებთა მოხმარა სახელმწიფოს შიგნით ძალიან მცირეა. 1924 წელს ის 204 ათას ტონას უდრიდა, 1925 წ. კი—243 ათას ტონას. თვითონეულ სულ მცხოვრებზე მოდის 8 კილ., მაშინ, როდესაც ინგლისში

—95, საფრანგეთში—27 და ჩეხო-სლოვაკიაში 13 კილო მოდის. პოლონეთში ნავთის მოხმარების ასე მცირე პროცენტი აიხსნება მისი სიძვირით. გადაუმუშავებელი ნავთის გატანა პოლონეთიდან მთავრობის მიერ აკრძალულია.

საფეიქრო

წარმოება.

სამონ მრეწველობის შემდეგ საფეიქრო მრიწველობას პირველი აღგილი უჭირავს, ამ დარგში მუშაობს 135.500 მუშა, რაც შეადგენს პოლონეთის სამრეწველო პროლეტარიატის 22 პროცენტს. ნაწარმოების ღირებულების მხრივ საფეიქრო წარმოების პირველი აღგილი უჭირავს. საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვაში საფეიქრო მრეწველობაზე მოდის 21 პროცენტი.

მრეწველობის ამ დარგში ყველაზე მეტად ბამბეულობის წარმოებაა განვითარებული. ბამბეულობის წარმოებაში დაბანდებულია 55 ათასი მუშა-ხელი, შალეულობისაში 15 ათასი.

ბამბეულობას წარმოებაში, წარმოების ნაყოფიერების დონე, ომის წინანდელ დროის ნორმას უახლოვდება და ზოგიერთ წლებში აჭარბებს კიდეც. მაგალითად 1923 წელს ბამბეულობის წარმოების ნაყოფიერებამ მიახწია — 114,9 პროცენტს. 1926 წელს — 101,8 პროცენტს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი წარმოებები კვირაში მხოლოდ 4—5 დღეს მუშაობენ.

საერთოდ რომ საფეიქრო მრეწველობა რამდენიმეთ დაქვეითებულია, ამას ბამბის მოხმარების სტატისტიკაც გვაჩვენებს. 1913 წელს ბამბის მოხმარება პოლონეთში უდრიდა 70 ათას ტონას. ეს რიცხვი რომ 100 პროცენ-

ტად მივიღოთ, 1926 წელს ბამბის მოხმარება უდრის 93 პროცენტს ანუ 65,500 ტონას.

შედევრობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ 1926 წელი საფეიქრო მრეწველობისათვის ჩვეულებრივი და დამახასიათებელი წელიწადი არ არის. ამ წელს შემთხვევითი ხასიათის ხელსაყრელი კონიუქტიურის წყალობით წარმოების ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა.

პოლონეთის საფეიქრო მრეწველობის განვითარებას ხელს უშლის უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოუწესრიგებლობა. პოლიტიკური მდგომარეობის გართულება მეზობელ სახელმწიფოებთან ზოგჯერ საფეიქრო მრეწველობის ექსპორტს კატასტროფიულ მდგომარეობაში აგდებს.

ექსპორტის დაცემასთან ერთად პარალელურად იზრდება იმპორტი. ეს ხდის პოლონეთს ნახევრად კოლონიალურ ქვეყნად. ლია კარების პოლიტიკა, რომელსაც პოლონეთი ზოგჯერ ძალა-უნებურად, თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ ადგება, დამახასიათებელია კოლონიალურ სახელმწიფოებისათვის. ასეთ პირობებში ბატონდება უცხო კაპიტალი და იხშობა და გასაქანი არ ეძლევა მკვიდრთა მრეწველობას.

ზემოდ ნახსენებ მიზეზის გამო შალეულობის წარმოება, რომელიც უფრო ექსპორტს ემყარება, ვიდრე შინაურ ბაზარს—კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია. შალეულობის ფაბრიკები დატვირთულია მხოლოდ 30-45 პროცენტით. შალეულობის წარმოების პროდუქცია ომამდი 34.000 ტონა შალის ნაქსოვს უდრიდა, 1923 წელს — 27 ტონაზე დავიდა. მუშა-ხელის რიცხვი კიდევ უფრო მეტი პროპორციით იქმნა შემცირებული, 1914 წელს თუ

31.949 მუშა მუშაობდა, 1926 წელს კი მუშათა რიცხვი ჩამოვიდა 12,843-ზე.

პოლონეთის საფეიქრო ნაწარმოები უმთავრესად გააქვთ საფეიქრო მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ სახელმწიფოებში, როგორიცაა მაგ., ლიტვა, ჩინეთი, რუმინია და ბალტიის და ბალკანეთის სახელმწიფოები.

პოლონეთის საფეიქრო მრეწველობა—რუსეთის და ავსტრიის ბაზრებს მოქლებული გამოუვალ კრიზისულ მდგომარეობაში არის მოქცეული.

ქარხნები მოწყობილია ამ ბაზრების მოთხოვნილების-და მიხედვით. საფეიქრო მრეწველობის შინაურ ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გადაყვანა მოიხსოვს დიდ თანხებს, რაც პოლონეთს არ გააჩნია. უცხოეთის კაპიტალის იმედი ძალიან საეჭვოა. დარჩა ერთად-ერთი საშუალება. ესაა წარმოების რეორგანიზაცია მუშათა კლასის ხარჯზე. პოლონეთის კაპიტალისტები მიმართავენ კიდეც ამ საშუალებას. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და საფეიქრო მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გაცუდებასაც უნდა ქონდეს ასეთი.

ქიმიური წარ-
მოება

პოლონეთში ქიმიურ წარმოების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი და ხელის შემწყობ პირობებია. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქიმიურ წარმოებისათვის საჭირო ნედლეულობის სიმრავლე. ასეთებია: მარილის ბუდობები, ცინკის მაღნები, ქვანახშირი და სხვა. მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობა, საფეიქრო, სამთო და მრეწველობის სხვა დარგები დიდიალ ქიმიურ ნაწარმოებს საჭიროებენ. წარმოების ამ დარგის განვითარებას პოლიტიკური მოსაზრებით ხელს უწყობენ. პოლონეთის მართველი წრეებიც.

ქიმიურ მრეწველობაში დაახლოებით დაბანდებულია 29 ათასი მუშა ხელი. 1925 წლის 1 იანვრისათვის არსებობდა 222 ქიმიური წარმოება, თვითეულში 20 მეტი მუშა ხელით.

ქიმიურ მრეწველობის დარგში ყველაზე მეტად გოგირდის ჭანგის მრეწველობა არის განვითარებული. შემდეგ აირის, ხელოვნურ სასუქების და სხვა.

პოლონეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ხელოვნურ სასუქის მრეწველობის განვითარებას. 1926 წლის დასაწყისში მთავრობა ამ დარგის მრეწველობას სესხად მისცა 27 მილიონი ზლოტი.

ხე-ტყის მრეწველობა

პოლონეთი მეტად მდიდარია ტყეებით. ნამეტურ მისი აღმოსავლეთი ნაწილი. 1924 წლის სტატისტიკური ცნობებით პოლონეთის ტყეებს 8947 გეგტარი მიწა უკავია. აქედან სარგებლობენ მხოლოდ 7573 გეგტარი ტყით. დანარჩენი უღრან და მიუვალ ტყეებს წარმოადგენენ.

ხე-ტყის წარმოების წლიური პროდუქცია 26 მილიონ მეტრს აღემატება. შინაურ ბაზრის მოთხოვნილება გაცილებით ნაკლებია. ხე-ტყე უმთავრესად საექსპორტო საქონელს წარმოადგენს. ამას ხელი შეუწყო შექმნილმა ხელსაყრელმა კონკურენციამაც. სავრთაშორისო ომის შემდეგ აღმშენებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით გაიზარდა ხე-ტყეზე მოთხოვნილება უცხოეთის ბაზარზე.

ხე-ტყის მრეწველობის განვითარებას ხე-ტყის ქარხების გამრავლებაც მოწმობს. 1923 წ. 1242 ხე-ტყის სახერხი ქარხანა არსებობდა 1800 სახერხი მანქანით. შემდეგ წელს სახერხი მანქანების რიცხვი 200 ავიდა. 1925 წლისათვის წარმოების ამ დარგში მუშაობდა 50 ათასი მუდმივი და

100 ათასი დროებითი მუშა. ხე-ტყის დახერხვის შემდეგ გადამუშავებისათვის არსებობს 5 ფანჯრის ქარხანა, 3 ცელიულაზის ფაბრიკა, 17 ასანთის და 2 ზის დამამუშავებელი ფაბრიკა.

პოლონეთის ექსპორტში ხე-ტყის მასალებს 16—18 პროცენტი უკავია. პოლონეთს ხე-ტყე გააქვს უმთავრესად ინგლისში. გერმანიაც დიდათ საჭიროებს ხე-ტყეს, მაგრამ გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო და ნამეტურ 1925 წლიდან გამოცხადებულ საბაჟო ომის წყალობით, პოლონეთიდან გერმანიაში ხე-ტყის გატანა თანდათანობით მცირდება.

შაქრის მრეწველობა პოლონეთი განთქმულია შაქრის მრეწველობით. მას მთელ მსოფლიოში შაქრის წარმოების მხრივ მე-6 ადგილი უკავია. შაქრის წლიური ნაწარმოების ლირებულება (1925 წ.) 400 მილიონ ზლოტს უდრის. შაქრის წარმოებაში მუშაობს 13 ათასი მუდმივი და 40 ათასი სეზონური მუშა.

შაქრის წარმოება განსაკუთრებით ყოფილ გერმანიის ტერიტორიაზეა განვითარებული. აქ მდებარე შაქრის ქარხნები ტეხნიკურადაც უკეთ მოწყობილია და ტრანსპორტის მხრივადაც უკეთეს მდგომარეობაშია. ქარხნები რკინის გზის ხაზის მახლობლად არსებობენ.

დღეს შაქრის მრეწველობა პოლონეთში ომის წინანდელ დროის 90 პროცენტს აღწევს.

პოლონეთის შაქარს უცხოეთის ბაზარზე დიდი გასავალი აქვს. მას რამდენიმეთ კონკურენციას უწევს ლერწამოვანი შაქარი. შაქრის ექსპორტი არ მცირდება. ზოგჯერ ექსპორტის გადიდებისათვის მიმართავენ ხელოვნურ ზომას, ამცირებენ შაქარზე ფასს.

პოლონეთის შაქრის მოშხმარებლებია უმთავრესად
ინგლისი და გოლანდია. ინგლისში გააქვთ ექსპორტის
62 პროცენტი. გოლანდიაში 26 პროცენტი.

სამხედრო მრეწ-
ველობა

ლითონისა და ქიმიური წარმოების
განვითარება ხელსაყრელ პირობების
უქმნის სამხედრო მრეწველობის გან-

ვითარებასაც.

მეორე მხრივ მრეწველობის ამ დარგის განვითარებას ხელი შეუწყო პოლონეთის მთავრობის ცდამ, რომ
თავის ჯარებისათვის სამხედრო იარაღების მიწოდების
საქმეში განთავისუფლებულიყო უცხო სახელმწიფოების
დამოკიდებულებისაგან.

მხოლოდ 1923 წლიდან იწყება სამხედრო მრეწველობის განვითარება. სამხედრო მრეწველობის ცენტრებია ქელცი, რადომი, დემბლინი. ამ რაიონებში მთავრობამ აავო სამი მსხვილი სამხედრო ქარხანა.
სამხედრო მრეწველობის მშენებლობაში გამოყენებულ იქ-
მნა, როგორც შინაური, ისე უცხოეთის კერძო კაპი-
ტალი.

პოლონეთში გარდა სამი სამხედრო სახელმწიფო
ქარხნისა, არსებობს სამხედრო სააქციონერო საზოგადოე-
ბის ქარხნებიც, რომელთაც სუბსიდიას აძლევს და სხვა
მხრივათაც ეხმარება მთავრობა.

უმთავრესი ქალაქები

ვარშავა პოლონეთის სატახტო ქალაქი. პოლონეთის მრეწველობის ცენტრი. მდებარეობს მდინარე ვისლაზე. მცხოვრებთა რიცხვი მილიონ სულს აღემატება.

ლოდი, ვარშავის შემდეგ ერთი უდიდესი ქალაქთაგანია პოლონეთში. მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონ სულს უდრის. ლოდი საფეიქრო მრეწველობის ცენტრად ითვლება. ქალაქის მოსახლეობის დიდი უმეტესობა მუშებია.

ლვავი დასავლეთ უკრაინის ანუ აღმოსავლეთ გალიციის უმთავრესი ქალაქია. აქ პოლონელები ძალიან უმნიშვნელო პროცენტს შეადენენ, ქალაქის მოსახლეობა უმთავრესად უკრაინულია. მცხოვრებთა რიცხვი 250 ათას სულს აღწევს.

კრაკოვი პოლონეთის უძველესი სატახტო ქალაქი. დასავლეთ გალიციის მრეწველობის ცენტრია, აგრეთვე ითვლება აღმინისტრატიულ ცენტრადაც. 200 ათასი სული მცხოვრებით.

პოზნანი ესეც დიდი ქალაქია მდებარეობს ჩრდილოეთ პოლონეთში. მცხოვრებთა რიცხვი 170 ათასს უდრის.

ვილნი დასავლეთ ბელორუსიის უმთავრესი ქალაქია, ოდესლაც ლიტვის სატახტო ქალაქიად ითვლებოდა. პოლონეთმა დაიპყრო 1920 წელს სამხედრო ძალებით. მოსახლეობის რიცხვი 130 ათასს აღწევს.

სასოფლო მეურნეობა

როგორც ფაბრიკა-ქარხნები და
საერთო მიზობი- საწარმოო იარაღები მრეწველობაში,
ლვა ისე მიწა სასოფლო მეურნეობაში კერ-
ძო საკუთრების საგანს წარმოადგენს. პოლონეთი მსხვი-
ლი მიწადმფლობელობის ქვეყანაა. ძველი მემამულები
რევოლუციის შემდეგაც ხელშეუხლებელნი დარჩენ. მემა-
მულები, რომლებიც მთელი მოსახლეობის 0,3 პროცენ-
ტსაც ძლივს წარმოადგენენ, ფლობენ დიდალ მიწებს.
მსხვილ მიწადმფლობელობაზე (50 გეგტარის ზევით) მო-
დის 14,186,500 გეგტარი სახნავ-სათესი მიწა, ანუ მთელი
სახნავ-სათესი მიწის სივრცის 36,5 პროცენტი. მოსახ-
ლეობას 64 პროცენტს, არა აქვთ საკმაო მიწა, 3,568,000
გეგტარი მიწა ეკუთვნის სახელმწიფოსა და ეკლესიას.

მიწადმფლობელობის შინაარს მშვენივრად გვისუ-
რათებს შემდეგი ცხრილი:

სასოფლო მეურნეობა	რამდენი გეგ- ტარი	პროცენტებში
წვრილი მეურნეობა 2 გეგტარამდი	1,108,754	43,0
2—5 გეგტარ.	1,101,850	30,7
საშუალო 5—20 გეგტ.	1,044.781	32,0
20—100 გეგტ.	87,577	2,7
100 გეგტ. ზევით	17,800	0,6

პოლონეთის უმთავრესად მიწაღმოქმედების ქვეყანაა. იქ მოყავთ ქერი, შვრია, ხორბალი, კარტოფილი. სასოფლო მეურნეობა განსაკუთრებით გავრცელებულია და განვითარების მაღალ საფეხურზედაც სდგას ყოფილ გერმანულ პოლონეთის ტერიტორიაზე.

პურეულობის პოლონეთის მრეწველობა ბევრ მხრივაა. დამოკიდებული პოლონეთის კულტურა. სასოფლო მეურნეობაზე. ერთი მოუსავლიანი წელიწადი საკმაოა, რომ სამრეწველო გეგმები თავდაყირა დადგეს და დაირღვეს. პურეულობის ყოველწლიური მოსავლის საშუალო ლირებულება უდრის 5 მილიარდ ზლოტს 1). ამაზე ჭერი ლირებულების ნაწარმოებს არც მრეწველობა იძლევა. ამას უნდა დაემატოს შემოსავალი მესაქონლეობის, მერძეობისა, კვერცხის და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების, რაც დაახლოებით 2490 მილიონ ზლოტს შეადგენს. ამგვარად სასოფლო მეურნეობას პოლონეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უკავია.

პოლონეთის საშუალო მოსავლის დროსაც კი არ მოსდის საკმაო პური. 1924/25 წელს მან 5,2 მილიონი კვინტალი ხორბალი შემოიტანა, ჭვავისა და ქერის მოსავალი საერთოდ შინაურ მაზრის მოთხოვნილებას აქმაყოფილებს.

პოლონეთში ძალიან გავრცელებულია მოსავლის პირველ თვეებში პურის უცხოეთის ბაზარზე გატანა, შემდეგ დიდი ზარალით ისევ უცხოეთის პური შემოაქვთ. ეს იწვევს პურის ფასების აწევას, რაც აგრე სასარგებლოა მემამულებისათვის.

1) ზლოტი 15 კაპეიკს უდრის.

მესაქონლეობა. პოლონეთში ძალიან გავრცელებულია მესაქონლეობა. ომამდი პოლონეთში იყო 33585400 კუნი. ეხლა არის თითქმის ამდენივე. რქოსანი საქონელი 8 მილიონამდეა. ცხვარი ომამდი 4 მილიონი იყო, 2 მილიონამდი დავიდა, თხა 400 ათასი სულამდია, ლორი 5 მილიონ სულზე მეტი. 1927 წლისათვის რქიანი საქონლის რიცხვი ავიდა 10 მილიონამდი, კუნი 4 მილიონამდი. მესაქონლეობის განვითარებას მოწმობს ის გარემოებაც, რომ 1925 წელს გატანილ იქმნა ერბო 542 ტონა, 1926 წელს 5548 ტონა. ცოცხალი საქონელი 1925/26 წელს გატანილ იქმნა საზღვარგარედ 28 მილიონ ზლოტის ლირებულების, 1926/27 წელს 58 მილიონ ზლოტის.

აგრარული რეფორმა

გლეხთა მდგომა-
რეობა და მოძ-
რაობა.

პოლონეთში მიწის საკითხი მეტად
მწვავედ სდგას. უმიწაწყლო გლეხობა
ერთობ დიდ პროცენტს შეადგენს.
მრავლადაა მცირე მიწა წყლიანი გლე-
ხობაც. ზემო-სილეზიასა და აღმოსავლეთის გუბერნიებში
დაახლოებით მთელი მოსახლეობის 31 პროცენტს მიწა
სრულებით არ აქვს. ყოფილ პრუსიის ტერიტორიაზე
41 პროცენტს, ცენტრალურ პოლონეთში 31 პროცენტს
და გალიციაში 25 პროცენტს. უმიწაწყლო გლეხობის 38
პროცენტი სასოფლო-მეურნეობაში მუდმივ მუშებად ით-
ლებიან და 31 პროცენტი სეზონურ მუშებად.

პოლონეთის გლეხობა სულს ღაფავს მემამულეების
მძიმე ულლის ქვეშ. ერთი მუშა-მემამულეები, რომლებიც
მოსახლეობის 1 პროცენტსაც არ შეადგენენ ფლობენ
მთელი სახნავ-სათესი მიწის რაოდენობის ნახევარზე
მეტს.

თუ როგორია მიწის მფლობელობის ფორმა, ამაზე
მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ქვემოდ მოყვანილი
ცხრილი:

მეურნეობის კატეგორიები	მეურნეობათა რიცხვი	მიწის სივრცის რამდენი პროცენტი უკავია
2 გექტარამდი	13,6	1,0
2—5-მდი	35,9	8,5
5—10-მდი	32,9	15,6
10—20-მდი	13,0	11,9
20—50-მდი	3,3	6,5
50—100-მდი	0,5	2,4
100 ზეჭით	0,8	54,1

გლეხთა ემიგრაცია.

სასოფლო მეურნეობის ასეთი მძიმე მდგომარეობა გლეხობას აიძულებს სამუშაო ეძებოს უცხოეთში. ძველად ამ მოვლენას უფრო მისიური ხასიათი ქონდა. ომამდი ყოველწლიურად დაახლოებით 900 ათასი გლეხი გადიოდა უცხოეთში. ომის შემდეგ უცხოეთის სახელმწიფოებმა შეზღუდეს მათი მიღება. ამ მიზეზით გლეხთა ემიგრაცია-მაც დაიკლო.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაართულა გლეხთა საკითხი. ძველად, შინ გაჭივრებული უცხოეთში შოულობდა საზრდოს. ახლა უცხოეთის კარები მაგრად ჩაკეტილი აქვს მათ. ამას ზედ ერთვის კიდევ მრეწველობის მძიმე მდგომარეობა, რომელიც სოფელს მუშა-ხელს თანდათანობით უბრუნებს,

ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება სასოფლო მეურნეობას განვითარება. პოლონეთის ბურუუაზიას კარგად ესმის თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მიწის საკითხი. ის იძულებული შეიქმნა მოჩვენებითი აგრარული რეფორმა ჩაეტარებია.

რეფორმის
ისტორია

პოლონეთში აგრარულ რეფორმის ჩატარებას 1921 წლიდან შეუდგნენ, მაგრამ ამ საკითხში ბურუუაზია არ ჩქარობდა. ის პირიქით შორეულ დროისათვის სდებდა ამ საკითხს: როგორც იქმნა 1925 წ. 28. დეკემბერს პოლონეთის სეიმმა მიიღო აგრარულ რეფორმის საბოლაო ტექსტი. აგრარულ რეფორმის პირველ პროექტში სენატმა 100 მეტი შესწორება შეიტანა. ამ შესწორებებმა ისედაც კუდმოკვეცილი აგრარული რეფორმა მთლად შეკვეცეს.

მემამულეები
ხელშეუხებელნი

აგრარულ რეფორმის კანონის ძალით ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში ხელშეუხებელი რჩება 60 გექტარი მამული, აღმოსავლეთ გუბერნიებში 300 გექტარი და დანარჩენ ნაწილში 180 გექტარი. ამასთანავე არ შეიძლება ჩამოერთვას 350 გექტარი—მიწა, თუ ამ მიწაზე გაშენებულია ვენახი და ან ტეხნიკური კულტურა. გაყოფვისა და ჩამორთმევისაგან თავისუფალია შაქრის ჭარხლის მიწა 700 დესეტინის რაოდენობით. ტყის ნორმაც ერთობ დიდია. დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიაში 50 გექტარი, დანარჩენ ნაწილში 30 გექტარი.

ამგვარად აგრარული რეფორმა მსხვილ მიწადმფლობელობას სრულებით არ შეხებია. მართველი წრეები

აცხადებდენ ამ რეფორმით ყოველწლიურად 200 ათასი გექტარი მიწა იქმნება ჩამორთმეულით. რეფორმის განხორციელების პირველ წელსაც კი 100 ათასი გექტარი ძლივს ჩამოართვეს. მეორე—მესამე წლებში ასეთი რაოდენობის მიწის ჩამორთმევაც არ მოხერხდა. კანონს იმდენი ხვრელები და გამოსაძრომი აღვილი დაურჩა, რომ დიდმა მემამულებმაც კი იოლად დააღწიეს მას თავი.

მემამულეთა ინტერესები არც ზედმეტ ნორმის გამოყიდვის დარგშია შელახული. ზედმეტ ნორმის გამოყიდვისათვის დაწესებულია ერთობ მაღალი ფასები. ჩამოსართმევი მიწის გამოყიდვა ხდება ამ მიწის სრული ღირებულების მიხედვით. მიწის ღირებულება გამოიანგარიშება შემოსავლის კვალობაზე დაწესებულ გადასახადით. ზედმეტ ნორმის მიწის შესყიდვას აწარმოებს სახელმწიფო. 100 გექტარის მამულის მეპატრონეს ეძლევა მიწის ღირებულების 50 პროცენტი ნაღდათ ხელზე და დანარჩენი 50 პროცენტი სესხის ობლიგაციები. 100—1500 გექტარის მიწის მეპატრონეს 45 პროცენტი ნაღდათ და დანარჩენი ობლიგაციებით. ნაღდათ ფულის მიცემა ხდება ორ ვადაში; პირველად სასამართლოს დადგენილებისთანავე და მეორეთ ერთი თვის განმავლობაში.

ახალი ნორმა

აგრძარული რეფორმის კანონით გათვალისწინებულია ახალ მეურნეობიბისათვის მიწის ნორმად ზოგიერთ აღვილებში 20 გექტარი და ზოგიერთ აღვილებისათვის 35 გექტარი. გლეხობის ჩამორთმეული მამული ეძლევა სათანადო ფასის გადახდით. უმიწაწყლო გლეხმა მიწის ყიდვისას სახელმწიფოს უნდა მისცეს ნაღდათ ღირებულების 5 პრო-

ცენტი, დანარჩენი 41 წლის განმავლობაში. მცირე მიწა-
წყლიანმა პირველად 10 პროცენტი და დანარჩენი 20
წელიწადში.

კერძო მემამუ- აგრარული რეფორმით გათვალის-
ლებიდან შეს- წინებულია კერძო მემამულებიდან შეს-
ყიდვის შემთხვევებიც. რეფორმით კა-
უიდვა. ნონით შემსყიდველს უნდა მიეცეს სა-
ხელმწიფდღან ფულადი სესხი. კანონში არაფერია ნათ-
ქვემი იმის შესახებ, თუ რა ვადით და რა პირობებით
ეძლევა ეს სესხი.

ცხადია ასეთი აგრარული რეფორმით უმიწაწყლო
გლეხობას სარგებლობა სრულებით არ შეუძლია. ასეთი
რეფორმა ხელსაყრელი და მისაღებია მხოლოდ კულაკე-
ბისათვის.

ვის უნდა მიე- აგრარული რეფორმის კანონის
ცეს ჩამორთმეუ- მე-53 მუხლში ამის შესახებ გარკვევით
ლი მიწა. მიეცემა:

1. მამულის მოიჯარადრეებსა და მოსამსახურეებს.
2. დამსახურებულ ჯარისკაცებსა და ინვალიდებს,
აგრედვე მოხალისე სამხედრო ორგანიზაციის წევრებს.
3. ომში დაღუპულ ჯარისკაცთა და მოხალისეთა
ოჯახის წევრებს.
4. სასოფლო-სამეურნეო სკოლის კურს დამთავრე-
ბულთ.
5. უცხო სახელმწიფოებიდან შემოხიზნულ პოლი-
ტიკურ ემიგრანტებს.

სეიმში აგრარულ კანონ-პროექტის გარჩევის დროს
კომუნისტებმა და გლეხთა მემარცხენე პარტიის წარმო-

მადგენლებმა მოითხოვეს ისეთი შესწორების შეტანა, რომ
პირველრიგში, ჩამორთმეული მიწა მისცემოდათ გლეხებს,
მაგრამ ეს შესწორება სეიმის წევრთა ხმების უმრავლესო-
ბით უარყოფილი ქმნა.

ვინ ატარებს
რეფორმას

რეფორმას ადგილებზე ატარებენ
ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგა-
ნოები, ეს ორგანოები უმეტეს შემთხვევ-
ვაში მემამულეთა და მათგან მოსყიდულ ჩინოვნიკების
ხელშია. ცხადია რეფორმის გატარებაზე ესეც დიდ გავ-
ლენას იქონიებდა.

რეფორმა სავსებით გატარებული დღემდისაც. არ
არის. კანონით არ არის გათვალისწინებული. თუ როდის
უნდა დასრულდეს რეფორმის განხორციელება.

ამგვარად აგრარული რეფორმა მიწის საკითხს ოდ-
ნავადაც კი არ სწყვეტს. გლეხის მდგომარეობა ძველე-
ბურ პირობებში რჩება. ჩამორთმეულ მიწებს კულაკებსა
და სამხედროებს უნაწილებენ.

ამგვარი კულმოკვეცილ კანონის განხორციელებაც
კი დაუსრულებლად ჭიანურდება. ხელისუფლების ორგა-
ნოები ამ საქმეში ერთგვარ საბოტაჟს იჩენენ. მათ ორი-
ოდე მემამულის მომდურებაც კი არ უნდათ.

პოლიტიკა

პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია. ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთია პოლიტიკა როგორიცა მისი ეკონომიური საფუძველი, ეკონომიური ბაზისი. ამ მხრივ უნდა მიუდგეთ პოლონეთის ხელისუფლების შეფასებას. იქ სადაც ფაბრიკა ქარხნები კაპიტალისტების და მიწა მემამულების ხელშია არ შეიძლება. იყვეს ხელისუფლება სხვანაირი ვიღრე დღეს არის. 0,3 პროცენტი მემამულები და 0,3 პროცენტი ფაბრიკანტები პან პილსუდსკის სახით განაგებენ ქვეყანას. თუ არა უხეში ძალმომრეობით ე. ი. ფაშისტურო-დიქტატურით, შეუძლებელია მოსახლეობის 3 პროცენტმა იბატონოს 97 პროცენტზე.

პოლონეთის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა შინაურ პოლიტიკაში ბურუუაზისა და მემამულების ნება-სურვილების გამომხატველია, მაგრამ იმდენათ, რამდენადაც პოლონეთი პოლონელებს არ ეკუთვნის, ის ემყარება უცხო ძალებსაც. ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში ის საფრანგეთის ორიენტაციას იზიარებდა. ეს ორიენტაცია გამაგრებული იყო ერთგვარი ეკონომიური ურთიერთობით საფრანგეთსა და პოლონეთს შორის. საფრანგეთს, გარდა საბჭოთა კავშირისაღმი კლასობრივი სიძულვილისა, თავისი ეკონომიური ინტერესებიც ამოქმედებდა პოლონეთში. მას პოლონეთის მრეწველობაში დაბანდებული აქვს ჩეტად დიდი კაპიტალი.

უცხო სახელმწიფოებს, გარდა სესხისა, სხვა მხრივაც აქვთ დაბანდებული თანხები პოლონეთის მეურეობაში. მრეწველობის საგრძნობი ნაწილი უცხოელების ხელშია.

გალები პოლონეთი ამ ორი წლის წინადავალიანებული სახელმწიფო იყო.

პოლონეთის საგარეო გალი

	უცხოეთის გალი ათასებში	%/%
1. შეერთებული შტატები	233,669 დოლარი	67
2. დიდი ბრიტანეთი	4,880 გირგანქა	7
3. გოლანდია	8,612 ფლორინი	—
4. საფრანგეთი	1,011,659 ფრანკი	8
5. იტალია	165,250 ლირა	5
6. ნორვეგია	20,167 კრონი	3
7. შვეცია	6,259 "	3
8. დანია	496 "	3
9. შვეიცარია	89 ფრანკი	3
10. ავსტრია, ნორვეგია . . .	180,810 კრონი	10

უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ინგლისის კაპიტალის ზრდა პოლონეთში. პოლონეთის საგარეო პოლიტიკაც ამისდამიხედვით იცვლება. ის ინგლისის კაპიტალის ზრდასთან ერთად უახლოვდება ინგლისს.

პოლონეთის სატყეო მრეწველობა უმთავრესად ინგლისის ხელშია. ბელვეჟში მას აქვს აღებული უდიდესი სატყეო კონცესია 120 ათას გერტარის სივრცეზე. 1925/26 წელს შაქრის ზოგიერთი დიდი ქარხნები გადავიდა ინგლისელებისა და გოლანდიელების ხელში. ასანთის წარ-

მოება სავსებით ამერიკელების ხელშია. რეინის გზები
ხომ უცხოელებს აქვთ დაკავებული.

ამგვარად პოლონეთის დამოუკიდებლობა თანდათა-
ნობით კარგავს ეკონომიურ ბაზისს. ამით აიხსნება ის
გარემოებაც, რომ პოლონეთი იოლად ხდება ზოგიერთ
მომენტში ამა თუ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოების
სათამაშო ნივთად. ხალხის ეკონომიური ინტერესები
მსხვერპლად ეჭირება იმპერიალისტურ სახელმწიფოების
ინტერესებს.

პოლონეთის მრეწველობის განვითარების ინტერე-
სები მოითხოვს სავსებით ნორმალური და კეთილმეზო-
ბლური კავშირი ჰქონდეს მას გერმანიასა და საბჭოთა
კავშირის ბაზრებთან. უცხო სახელმწიფოების ინტერესე-
ბი კი პირიქით ამ სახელმწიფოებზე გადაკიდებას უკარ-
ნახებს მას. ქვეყნის ეკონომიკა და ხელისუფლების პოლი-
ტიკა ამგვარად ერთმანეთთან სასტიკ წინააღმდეგობაშია
მოქცეული. ასეთ პირობებში შეუძლებელია პოლონეთმა
ნამდვილი დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.

ის დღეს უკვე ნახევრად კოლონიალური ქვეყანაა.
პოლონეთის ეროვნული დოკუმენტის $\frac{9}{10}$ უკვე გაყიდულია
უცხოელებზე.

საბჭოთა კავშირ- საბჭოთა კავშირის მიმართ მისი
თან ურთიერთო- პოლიტიკა მეტათ აგრესიულია. ეს გა-
ბა მოწვეულია არა მარტო გაძატონებული
კლასების კლასიური ინტერესებით,

არამედ უცხო სახელმწიფოების იმპერიალისტური ინტე-
რესებითაც. ერთხანს საფრანგეთი ქმნიდა პოლონეთში
პოლიტიკას და ამჟამად ინგლისი ქმნის, ხოლო სულ უკა-
ნასკნელ ხანებში ამერიკის სესხთან დაკავშირებით ამე-
რიკის გავლენა იზრდება, და მტკიცდება.

პან პილსუდსკის კარგად ესმის, თუ რით არის და-
ავადებული პოლონეთის მრეწველობა, ესმის, რომ უბაზ-
რობა აღრჩობს მას. ესმის ეს და ფიქრობს ბაზრების გა-
გაფართოებას, ზღვაზე გასვლას. მის იმპერიალისტურ
გეგმაში სწერია საბჭოთა უკრაინის შეერთება და შავ
ზღვაზე გასვლა, ბალტიის სახელაწიფოების დაპყრობა
და ბალტიის ზღვაზე მოკლე გზით გასვლა. ეს გეგმა მის
სანუკვარ ოცნებას შეადგენს. ის ყოველი შემთხვევით
სარგებლობს რომ ეს გეგმა შეისრულოს.

პოლონეთის ურ- კიდევ უფრო გამწვავებული მდგო-
თიერთობა გერ- მარეობა აქვს პოლონეთს გერმანიასთან.
მანიასთან. ეს იმითაც არის გამოწვეული რომ
გერმანიის უდაო ტერიტორია ვერსა-
ლის ხელშეკრულების ძალით პოლონეთს მიანიჭეს. პო-
ლონეთი იმპერიალიზმის სამსახურისთვის დაასაჩუქრეს
გერმანიის ხარჯზე.

ეს გარემოება გახდა მუდმივი დავის საგანი პოლო-
ნეთ-გერმანიის შორის. ისინი ყოველ მოხერხებულ
დროს ერთმანეთს მგლებივით უღრენენ. 1927 წელს გერ-
მანიამ დააყენა პოლონეთ-გერმანიის საზღვრების გადა-
სინჯვის საკითხი. ამან პოლონეთის პოლიტიკურ წრე-
ებში დიდი ახმაურება გამოიწვია. ერთმანეთის მისამარ-
თით გადასროლილ იქმნა ბევრი მწარე სრტყები. საქმე
იქამდი მივიდა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ
მოლაპარაკებაც კი შესწყდა. მაგრამ საფრანგეთისა და
ინგლისის ძალდატანებით შემდეგში ეს მოლაპარაკება
ისევ განახლდა.

პოლონეთს ბალტიის სახელმწიფოებთანაც ძალიან
გართულებული მდგომარეობა აქვს. 1926 წელს ეს გამ-
წვავებული ურთიერთობა თითქმის ომამდი მივიდა.

მუშათა მოძრაობა

პროლეტარიატი პოლონეთში დაახლოვებით 3^{1/2} მილიონი მუშაა. აქედან 2 მილიონზე გეტი ქალაქის პროლეტარიატია. მათში მრავლადაა არა კვალიფიციური მუშაკები. ნამეტურ მრავალრიცხოვანია შინ და ხელზე მოსამსახურეთა ჯგუფი. ტრანსპორტსა და მრეწველობაში მილიონამდე მუშა მუშაობს.

სამრეწველო მუშების შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია მაღაროს მუშების ჯგუფი (150 ათასი). შემდეგ საფეიქრო წარმოებაში მომუშავეთა (140 ათასი) და მესამე ადგილი უკავია მელითონე მუშებს (125 ათასი)

უმუშევრობა უმუშევრობას ქრონიკული ხასიათი აქვს მიღებული. ეს აიხსნება მრეწველობის საერთო კრიზისით ქვეყნის გაღატაკების გამო შინაურ ბაზრის მოთხოვნილება საგრძნობლად შემცირებულია. პოლონეთის მრეწველობა საგარეო ბაზარსაც მოკლებულია. ამიტომ უმუშევრობა მუდმივ იზრდება. ამას, ქვემოდ მოყვანილი ცხრილი კარგად გვიჩვენებს.

1924—7 წლებში ოლრიცხვაზე აყვანილი უმუშევრები

1924 წ.	დეკემბერში	159,000
1925 წ.	იანვარში	175,000
	მარტში	185,000
	დეკემბერში	251,000

1926 წ.	იანვარში	311,000
	მარტში	358,000
	აგვისტოში	263,000
	დეკემბერში	200,000
1927 წ.	იანვარში	236,000
	თებერვალში	251,000

ამას უნდა დაემატოს დიდიალი აღრიცხვაზე აუყვანელი უმუშევრები, აგრედვე კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღით მომუშავენი. 1926 წელს უმუშევრები შეაღენდენ მსხვილი მრეწველობის მუშათა 60 პროცენტს. 1927 წლის უმუშევართა შედარებითი შემცირება გამოწვეული იყო უმუშევრების 50 პროცენტის აღრიცხვიდან მოხსნით.

ყველა აღრიცხული უმუშევარი არ იღებს დახმარებას.

უმუშევრები რომლებსაც უფლება აქვთ დახმარების მიღებისა

	სულ უმუშევარი იყო	დახმარების უკლება ქონდა
1924 წ. დეკემბერში	159,000	71,000
1925 წ. შარტში	185,000	87,000
1926 წ. დეკემბერში	200,000	91,000
1927 წ. იანვარში	236,000	100,000

¹⁾ დაწერილია მაკდონალდის მთავრობის არჩევამდი.

აქედანაც მხოლოდ სრულ დახმარებას ღებულობდა ერთი მეხუთედი და დროებით და ნაწილობრივ დახმარებას ორი მეხუთედი. დახმარების ნორმა მეტად მცირეა. მუდმივი დახმარება ეძლევა უმუშევარს 13 კვირის განმავლობაში. მუდმივი დახმარების ნორმად ხელფასის 30 პროცენტია დაწესებული მარტოხელზე და 35—50 არც ოჯახიანზე.

პროფესიონალური მოძრაობა პოლონეთში არსებობს ეროვნული, სარწმუნოებრივი და კლასობრივი პროფესიონალური, აგრედიტოდებული ქრისტიანული პროფესიონალურ-რეაქციონურ პარტიების გავლენის ქვეშ მუშაობენ. ქრისტიანულ პროფესიონალური რიგებში უმთავრესად მუშათა ჩამორჩენილი ჯგუფებია გაერთიანებული. მათ რიგებში თქვენ შეხვდებით მხოლოდ მეეზოვებს, შინა მოსამსახურებს, ხელოსნებს, არა კვალიფიციურ მუშებს და სხვებს. მუშათა კლასში ისინი დიდი ნდობითა და გავლენით ვერ სარგებლობენ. მათ რიგებში მათივე გადაჭარბებული და გაზვიადებული სტატისტიკით გაერთიანებულია ოცი ათასი წევრი.

ეროვნული პროფესიონალური, რომლებიც მხოლოდ პოლონელებს აერთიანებს ეროვნულ მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობს. ისინი პრინციპიალურად თითქოს აღიარებენ კლასობრივ ბრძოლის პრინციპს, მაგრამ სინამდვილეში მას ყოველთვის ღალატობენ. ვიწრო შოვინიზმით გატაცებულნი სამშობლო ბურჟუაზიათან დათმობაზე იოლად მიღიან. პროფესიონალის ყველაზე ძლიერ ფრთას კლასობრივი პროფესიონალური წარმოადგენენ. ასეთი კავშირები აღმოცენდენ 1919 წლიდან. ამ კავშირების სათავეში სხედან შემთანხმებლები პოლო-

ნეთის სოციალისტურ პარტიიდან. ამიტომ მისი შუშაობიმ შინაარსი ნაკლებათ კლასობრივია. ის კლასობრივი მხოლოდ იმ მხრივაა, რომ მის რიგებში გაერთიანებულია ყველა ეროვნების მუშები.

შემთანხმებლობის მოღალატეობის წყალობით მუშათა მასები სტოვებენ კლასობრივ პროფკავშირის რიგებს. ამას მშვენივრად გვიჩვენებს ქვემოდმოყვანილი ცხრილი.

1922	წელს	კლასობრივი	პროფკავშირები	აერთიანებდა	445,800	შ.
1923	"	"	"	"	402,200	"
1924	"	"	"	"	377,888	"
1925	"	"	"	"	249,600	"
1926	"	"	"	"	200,000	"
1927	"	"	"	"	244,500	"

კლასობრივ პროფკავშირებს სათავეში უდგია რეფორმისტული ცენტრალური კომისია. კლასობრივი პროფკავშირები ამსტერდამის ინტერნაციონალში შედიან. პროფმოძრაობის დანარჩენი ფრთები არც ერთ ინტერნაციონალში არ შედის.

შრომის ხელფასი საცხოვრებელ
შრომის ხელფასი მინიშუმზე უფრო მცირეა. შრომის ხელფასი ძალიანი მცირედი პროცენტებით იზრდება, მაშინ როდესაც ცხოვრების გაძვირებამ პირდაპირ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით მუშათა ნივთიერი მდგომარეობა თანდათანობით ცუდდება. სილეზიაში კვალიფიციური მელითონე იღებს დლიურად 1 მ. 26 კ. კვალიფიციური ფეიქარი — 96 კაპ.

1926 წლის განმავლობაში შრომის ხელფასში აიწია საშუალოდ 10 პროცენტით, ცხოვრება გაძვირდა 20 პროცენტით.

ვარშავაში მუშების 55 პროცენტი თვეში 32 მანეთზე ნაკლებს იღებს. 41 პროცენტი 32—96 მანეთამდიდა 3¹/₂, პროცენტი—96 მანეთზე მეტს.

პოლონეთი შრომის კანონმდებლო-
შრომის კანონ-

ბით მეტად ლარიბი ქვეყანაა. არსე-

მდებლობა ბობს სულ ორიოდე შრომის კანონი.

მასაც ცხოვრებაში არავინ არ ატარებს.

1919 წელს მუშათა მოძრაობის გაძლიერების ზე გაელენით მთავრობა იძულებული შეიქმნა შემოელო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ინსტიტუტი. გამწვავებულ სასურსათო კრიზისის დროს ეს კომიტეტები მუშებისათვის სურსათით მომარაგების და ულუფების განაწილების საქმეებს განაგებდენ. 1921 წლიდან სასურსათო კრიზისის ლიკვიდაციასთან ერთად, დაიწყო მათი დახურვაც. ამჟამად საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სამუშაო ფუნქციები მეტად შეზღუდულია. მის მუშაობას მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ხასიათი აქვს დაის პროფესიონების დამხმარეობის დამხმარეობის წარმოადგენენ.

შრომის დაცვის ერთი მთლიანი კანონი არ არსებობს. პოლონეთის სხვადასხვა ნაწილებში, შრომის სხვადასხვანაირი კანონმდებლობაა. გერმანიის ყოფილ ტერიტორიაზე ძალაშია დარჩენილი ძველი გერმანული კანონ-მდებლობა, ასევეა ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის ტერიტორიებზედაც. მხოლოდ ავადმყოფობისა და უმუშევრობის დაზღვევის კანონი კი მთელ პოლონეთისათვის ყველგან ერთნაირია.

სააგადმყოფო პოლონეთში მშრომელთა დაზღვე-
კასები ვა ყოველგვარ ავადმყოფობისაგან სა-
ვალდებულოა. ამის შესახებ არსებობს
1919 წლის 1 იანვრის კანონი. ამ კა-
ნონით დასაზღვევი პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს
6 პროცენტს, ნამდვილად კი 10 პროცენტს უდრის.

დასაზღვევ პროცენტების ორ-მეტუთედს იხდიან
მუშები და სამ-მეტუთედს—მწარმოებლები. კანონით
სამკურნალო დახმარება, არა-მარტო დაზღვეულთ, არა-
შედ მათი ოჯახის წევრებსაც ეძლევათ. ფულადი
დახმარების ნორმად ხელფასის 60 პროცენტია დაწესე-
ბული: ფულადი დახმარება ავადმყოფს აღმყოფობის მე-3
დღიდან ეძლევა. სამკურნალო და ფულადი დახმარება
დაზღვეულს ეძლევა 6 თვის განმავლობაში, მისი ოჯახის
წევრებს კი—3 თვეს. ზოგიერთი კასების წესდებით, ეს
ვადები] გაგრძელებულია 50 პროცენტით. ორსულობის
შემთხვევაში ეძლევათ სრული თვის ხელფასი; დამარხვის—
ძირითადი ხელფასის 3 კვირის გასამრჯელო. კასის საბ-
ჭო შესდგება მუშებისა და მწარმოებლების წარმომადგე-
ნელთაგან: ორი მესამედი მუშების წარმომადგენლებია, ერ-
თი მესამედი—მწარმოებლების. საბჭო გამოყოფს გამგე-
ობას 18 პირის შემადგენლობით.

უმუშევართა დაზღვევის კანონი
დაზღვევა შედარებით გვიან გამოვიდა. 1924 წ.
21 აგვისტოს კანონით, უმუშევართა
დაზღვევა არ ვრცელდება იმ წარმო-
ებებზე, საღაც 5-ზე ნაკლები მუშა მუშაობს. აგრედვე
არ ვრცელდება სასოფლო-მეურნეობის, გონებრივი შრო-
მის, კუსტარულ წარმოების მუშაკებსა და შინ მოსამსა-
ხურეებზე.

უმუშევართა დახმარების ფონდი შრომის სამინის-
ტროსთან არსებობს. ფონდი შესდგება ხელფასის პრო-
ცენტისაგან. აქედან მეოთხედ პროცენტს იხდიან მუშე-
ბი, სამ-მეოთხედს მწარმოებლები და ერთ სრულ პრო-
ცენტს—მთავრობა.

შრომის კანონები გამოცემულია
სამუშაო დღე მუშათა რევოლუციონური მოძრაობის
გაძლიერების ზეგავლენით 1918-1919

წლებში. ამიტომაც კანონები თავისთავად რადიკალური
შინაარსისა, მხოლოდ ასეთივე რადიკალურ შინაარსით
არ ტარდება ის ცხოვრებაში. 1917 წლის 13 დეკემბრის
კანონით, 8 საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ-
ზე უნდა ვრცელდებოდეს. სინამდვილეში ეს ასე არ არის.
უმეტეს შემთხვევაში წარმოებებში 9—10 საათიანი სა-
მუშაო დღეა. მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტებით
უკანვე წაილო 8 საათიანი სამუშაო დღე—რკინის
გზებზე, სამთო წარმოებებში, სავაჭრო დაწესებულებებ-
ში. რაც შეეხება კერძო წარმოებებს იქ 8 საათიანი სა-
მუშაო დღე არსად არ არის დაცული.

სადაც არის დარჩენილი 8 საათიანი სამუშაო დღე,
იქაც მწარმოებლები ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ
მის წინააღმდეგ.

საბინაო და საბინაო და საბინაო და პოლონეთის მუშების საბინაო პი-
სხვა პირობები რობებიც მეტად აუტანელია. ისინი
უმთავრესად ცხოვრობენ სარდაფებსა
და ანტი-სანიტარულ, ანტი-ჰიგიენურ
ბინებში. მათ არ გააჩნიათ არც საზოგადო სასაღილო-
ები, არც კლუბები, არც ბავშთა და დედათა სახლები
და არც სხვა რამ. სახლებს მუშებისათვის არავინ არ
აშენებს. მუშებს, შვებულება ხელფასის მიცემით არა
აქვთ, მათ, არც კურორტებსა და დასასვენებელ სახლებ-
ში აგზავნის ვინმე.

სომუნისტური პარტიები

პოლონეთის კომუნისტური პარტია
კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-
პარტია ერთ საუკეთესო და დიდ სექციას წარ-
მოადგენს. ის მუშებსა და გლეხებს შო-
რის აწარმოებს ენერგიულ რევოლიუციონურ მუშაობას.
პარტია, კანონს გარეშეა გამოცხადებული. მას არა ლე-
გალური, ჭერ-ჭვეშ მუშაობა უხდება. კომუნისტური პარ-
ტიის წევრობისათვის ხალხს იჭერენ და პასუხისმებაში
აძლევენ. კომპარტიის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს
მიმართავენ. მიუხადავათ ამისა, პარტია მაინც იზრდება
და ძლიერდება.

პარტიას ცოცხალი კავშირი აქვს მუშათა მასებთან.
ის მასიურ გამოსვლებში ხელმძღვანელ როლს თამაშობს.
1924 წლის ივლისში პარტიამ მოწყო სამუშაო დღის
გადიდების საწინააღმდეგო გამოსვლები. პარტიის ენერ-
გიული მონაწილეობით მოწვეულ იქმნა ფაბკომების ყრი-
ლობა და არჩეული მოქმედების კომიტეტი 21 წევრის
შემადგენლობით. ამ კომიტეტის მოწოდებით დაიწყო
გაფიცვა და რეფორმისტების მოლალატეობით დამარცე-
ბულ იქმნა.

პოლონეთის კომპარტიაში შედის უკრაინის და ბე-
ლორუსიის ეროვნული სექციები. პარტიას 7 ათასზე
მეტი წევრი ყავს. ამეამად პარტია აწარმოებს ბრძოლას

ორ ფრონტზე მასების დასაპყრობად და მემარჯვენე გა-
დახრების წინააღმდეგ. გასულ წელს, საპარლამენტო არ-
ჩევნებში, კომუნისტურმა პარტიამ მიიღო პოზნანში—
12 ათასი ხმა, ლოკოში—6 ათასი ხმა, დომბროვოს რა-
იონში—67 ათასი ხმა, ლოძში—49 ათასი. მრავალ ად-
გილს კომპარტიისათვის მიცემული ხმები გააუქმეს. სა-
ურთოდ, ფაშიზმის საწინააღმდეგო მემარცხენეთა ბლოკ-
მა მიიღო 800 ათასი ხმა. პარტია დაარსდა 1918 წელს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპარტიის ენერგი-
ული ბრძოლა პოლონეთის მთავრობის სამხედრო ზრახვე-
ბის წინააღმდეგ. კომპარტია დაუნდობლად არხელს და
მზის სინათლეზე გამოიქვს ბურჟუაზიის სამხედრო გეგ-
მები. მიუხედავათ კომპარტიის წინააღმდეგ გამეფებულ
საშინელი ტერორისა, ის მაინც იკრებს თავის გარშემო
მუშებისა და გლეხების ფართო მასებს. კომპარტიის
გავლენა რომ თანდათანობით იზრდება, ამას მოწმობს
თუნდაც მთელ რიგ ქალაქებში მუნიციპალურ არჩევნე-
ბის დროს დიდალ ხმების მიღება. პოლონეთის პროლე-
ტარიატი პოლონეთის კომპარტიის მეთაურობით ყოველ-
თვის გულმძურვალედ ეხმაურება საერთაშორისო პრო-
ლეტარიატის გამოსვლებს. ასეთივე რევოლიუციონურ
ბრძოლას აწარმოებს სეიმის კომუნისტური ფრაქცია.
კომფრაქცია მოითხოვდა და ახლაც მოითხოვს საბჭოთა
კავშირთან ხელშეკრულების დადებას თავდაუსხმელობის
შესახებ.

კომკავშირი ისე როგორც კომპარტია, კომკავ-
შირიც არალეგარულ პირობებში მუ-
შაობს. ხელისუფლების ორგანოები და რეფორმისტული
პარტიები მის წინააღმდევ სასტიკ რეპრესიებსა და ჭო-
რებს მიმართავენ. მიუხედავათ ამისა კომკავშირის რიგე-

ბი მაინც იზრდება. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მუშათა ახალგაზრდობაზე კომკავშირის გავლენა ერთი სამად გაიზარდა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს გამართულ დემონსტრაციაში 1923 წელს ვარშავში მონაწილეობას იღებდა 250 კაცი, 1926 წ. 1000 და 1927—2500. საერთოდ ამ დღის დემონსტრაციაში მხოლოდ ლოდში, დასავლეთ ბელორუსიაში და ვარშავში მონაწილეობას იღებდა 20 ათასამდი ახალგაზრდა.

პოლიტიკური მუშაობა კომკავშირი მხნე პოლიტიკურ მუშაობას ეწევა. კომპარტიის პოლიტიკურ გამოსულების დროს აქტიურ დახმარებას უწვეს. გასულ წელს საარჩევნო მიტინგიდან 120 მიტინგი კომკავშირლების მიერ იყო მოწვეული. აგრედვე პარტიის საარჩევნო სიაზე ვარშავში 10 ათას ხელისმომწერდან 6 ათასი წემა შეგროვილი იყო კომკავშირლების მიერ.

სოფლიად მუშაობა კომკავშირლებს სოფლიად შედარებით უმნიშვნელო გავლენა აქვთ. მხოლოდ დასავლეთ ბელორუსიის სოფლებში დიდი გავლენით სარგებლობენ.

კომკავშირის გავლენა და რიგები იზრდება უმთავრესად მსხვილ წარმოებებში. კომკავშირმა მოახერხა აგრედვე მოწინალმდეგე ახალგაზრდობის ორგანიზაციების დანგრევა და მათ შორის თავისი გავლენის განმტკიცება.

ბრძოლა გადა-ხრებთან კომკავშირს მოუხდა პარტიისთან ერთად სხვადასხვა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლა. ტროკუიზმთან ბრძოლაში კომკავშირმა პარტიის დიდი სამსახური გაუწია. კომ-

კავშირშა გაილაშქრა აგრედიტ დასავლეთ უკრაინაში პარტიაში შეპარულ კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ.

კავშირის ორგანიზაციები და ორგანოები სხედან კომკავშირლები. მათ წინააღმდეგ ხელისუფლების ორგანოები სხვა მხრივადაც მიმართავენ რეპრესიებს.

მიუხედავად ამისა პოლონეთის კომკავშირი კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ერთი ძლიერი სექციათაგანია.

მისი არალეგარულ ორგანოებია „სპარტაკი“ (500 ტირაჟით) „ამხანაგი“ (4,500 ტირაჟით) ახალგაზრდა კომუნისტი (1500 ტირაჟით) ამას გარდა გამოდის ლეგალური გაზეთი სხვადასხვა სახელწოდებით. სცემენ ადგილობრივ და საფაბრიკო-საქარხნო გაზეთებსაც.

პიონერთა ორგანიზაციაში 2500 წევრია. იცემა გაზეთი პიონერი 600 ცალის ტირაჟით.

პროფკავშირებთან არსებულ ახალგაზრდათა სექციებში გაერთიანებულია 10000 ახალგაზრდა მუშა:

პოლონეთში სულ 800,000 ახალგაზრდა მუშა ითვლება:

პარტია თავის მუშაობაში ემყარება გლეხთა დამოუკიდებელი პარტია მოჯამაგირეებსა და ლარიბ გლეხობას. საზოგადოების ამ ნაწილში პარტია დიდი ნდობით სარგებლობს, პარტიას აქვს მტკიცე რევოლიუციონური პოლიტიკა. მთავრობა მას ასეთი პოლიტიკისათვის სდევნის. 1927 წლიდან პარტია მუშაობს არა ლეგალურათ. პარტიას მახლობელი კავშირი აქვს კომპარტიისთან. პარტიის ხელმძღვანელებია ვოევუდსკი და ფილერკევიჩი:

პოლონეთის სო-
 ციალისტური
 პარტია (პ. პ. ს.) ეს პარტია თავის მოქმედებით ჰქ
 მუშაობით კონტრ-რევოლიუციონური
 პარტიაა. ის მე-2 ინტერნიციონალში
 შედის. შემთანხმებლურ და რეფორმის-
 ტულ პოლიტიკას. ატარებს. მუშათა კლასში ბურჟუაზიუ-
 ლი კლასის გავლენის გამტარებელია, მათი ინტერესების
 დამცველი. პარტია, მთავრობის დახმარებით გაბატონე-
 ბულია პროფკავშირებში, მასები პარტიის წინააღმდეგ
 არიან განწყობილნი. პარტია თავდაპირველად მხარს
 უჭერდა პილსუდსკის ფაშისტურ დიქტატურას, შემდეგში
 მასების გავლენით ოპოზიციაში ჩაუდგა მას. პარტია საბ-
 ჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერია. ის საბჭოთა კავ-
 შირის წინააღმდეგ ყოველგვარ საშვალებით ბრძოლის
 მომხრეა. პარტია მხარს უჭერს და ეხმარება მთავრობას
 ეროვნულ უმცირესობების წინააღმდეგ ბრძოლაში. პარ-
 ტიას ბევრი ყავს მომხრეები მუშათა კლასში, ნამეტურ
 მას ეხმარება ბუშათა არისტოკრატია. საგარეო პოლიტი-
 კაში პარტია მხარს უჭერს ერთა ლიგას.

პარტიის ბელადებია დაშინკი, ბარლიცკი ნედზია-
 ლოვსკი და სხვები. პარტიას 40 ათასამდი წევრი ყავს.
 წევრთა დიდი უმეტესობა საწევრო გადასახადს არ იხ-
 დის. ისინი მხოლოდ ქალალდზე ირიცხებიან წევრებათ.

1922 წელის სეიმის არჩევნებში პარტიამ 906 ათა-
 სი ხმა შეაგროვა. ეს ხმები მთელ ამრჩეველთა 10 პრო-
 ცენტს შეადგენდა. 1928 წელს პარტიას სეიშში ყავდა 41
 დეპუტატი, სენატში 7.

ეს პარტია გამოყოფილია პოლონე-
 დამოუკიდებე-
 ლი სოციალის-
 ტური პარტია. თის სოციალისტურ პარტიიდან. 1925
 წელს სოციალისტური პარტიის ვოლენის
 ორგანიზაციის წევრები ერთხმად გადვი-
 დენ დამოუკიდებელთა მხარეზე. პარტია შედარებით სხვა

ქალაქებთან უფრო დიდი ნდობით სარგებლობს კრაკოვსა, ლოძსა და ვილნოში. ეს პარტია დიდათ არ გამსხვავდება სოციალისტურ პარტიისაგან, ისინიც პატრიოტული ელ-ფერით არიან შეთითხნულნი. სეიმში მათ დეპუტატი არა ყავთ. მათი ლიდერია დრობინერი.

**პარტია წმინდა ბურჟუაზიულ პო-
ეროვნული მუ-** ლიტიკას ატარებს. მუშათა კლასს ანგა-
შათა პარტია რიშს უწევს იმდენად, რამდენათაც მათ
რიგებში გაერთიანებულია. სარწმუნოებით და ანტისემ-
ტიზმით დაბრმავებული მუშები. პარტიას აქვს თავისი
მცირე რიცხოვანი პროფესიონალისტი. ამ პროფესიონალებში
გაერთიანებულია უმთავრესად მუშათა ჩამორჩენილი
ჯგუფები. პარტიის გავლენა უმნიშვნელოა. ის მხარს
უჭერს პილსუდსკის და მის ბრძოლას საბჭოთა კავშირ-
თან. პარტიის მუშაობას აშკარა შოვინისტური ხასიათი
აქვს. პარტიის შოვინიზმი მიმართულია უმთავრესად ებ-
რაელთა წინააღმდეგ. პარტიამ 1922 წელს სეიმის არჩევ-
ნებში 474 ათასი ხმა მიიღო. პარტიას 1926 წელს 18
დეპუტატი ყავდა სეიმში და სამი სენატში. პარტიის ლი-
დერებია ხოდზინსკი და პეპელი.

ბუნდის პარტია ებრაელთა სოციალდემოკრატიული
პარტიია. ოდესალაც მუშათა კლასში დი-
დი ნდობით სარგებლობდა. დღეს ეს ნდობა დაკარგული
აქვს. 1921 წელს მას მემარცხენე ფრთა გამოეყო და კომ-
პარტიის შეუერთდა. პარტია არსებითად რეაქციონური
პარტიაა. ის თავისი პროგრამით ბევრით არაფერით გან-
სხვავდება პოლონეთის სოციალისტურ პარტიისაგან. მი-
ნი ზოგჯერ რადიკალური გამოსვლები და ხმაურობა აიხ-

სწება იმ გარემოებით რომ ის დაჩაგრული ეროვნების პარტია. პარტიას ამ უაშად 8 ათასამდი წევრი ყავს.

უკრაინის ს.-დ. პარტია პოლონეთში არსებობს უკრაინის სოციალდემოკრატიული პარტია. პარტია ტია 1924 წელს ეროვნულ მოძრაობის ნიადაგზე ხელისუფლებამ დაშალა. პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა უკრაინის ნაციონალისტურ პარტიებში გაითქვითა.

ბელორუსის ს.-დ. პარტია ეს პატარა პარტია პოლონეთის იმ ნაწილში არსებობს, რომელი ნაწილიც ბელორუსებით არის დასახელებული. ბელორუსიის სოციალისტ-რევოლიუციონერები კომ-პარტიას შეუერთდენ.

გერმანელი ბელი უშების პარტია პოლონეთშივე არსებობს გერმანელი მუშების პარტია. პარტიას უმ-თავრესად ლოდის მუშებში აქვს გავლენა. აგრედვე ამ პარტიის წევრები ბლომად არიან პოზნანში, პიმურინში და ზემოსილეზიაში. პარტია იზიარებს გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ორიენტაციას, შედის მეორე ინტერნაციონალში.

ბურუუაზიული პარტიები

ნაციონალისტები — სახალხო ნაციონალური კავშირის პარტია, ანუ ნაციონალ-დემოკრატები დამოკრატები ბურუუაზიული პარტიაა. პარტია ემყარება შემამულეებს, მსხვილ მრეწველებს და უმაღლეს მოხელეებს. ის მომხრეა მუშათა მოძრაობასთან სასტიკად გამკლავებისა. მშრომელთა მიმართ ყოველგვარ დათმობის წანაალმდეგია. მიუხედავად ამისა პილსუდსკის ოპოზიციაში უდგია. პილსუდსკი, პარტიას მიაჩნია მემარცხენეთ. პარტია საბჭოთა კავშირთან შემარიგებელ პოლიტიკას იცავს. გერმანიის წინააღმდეგ გააფრთხებულ ბრძოლას აწარმოებს. ის არსებული სოციალური კანონმდებლობის წინააღმდეგია. საგარეო პოლიტიკაში საფრანგეთის ორიენტაციას იზიარებს. პარტია პილსუდსკის ფედერაციის გეგმებს (საბჭოთა უკრაინის და ბელორუსიის შემოერთება) უარყოფითად ეკიდება. სეიმში ყველა პარტიაზე მეტი დეპუტატები ყავს. 1919 წელს ყავდა 109 და 1926წელს 100.

ქრისტიანულ ნაციონალ დემოკრატები

პოლონელ მემამულეებში დიდი გავლენიანი პარტიაა. ის თავი პროგრა-
მით ძალიან ცოტათი გასხვავდება ნა-
ციონალ დემოკრატებისაგან. ჩვეულებ-
რივად ამ პარტიებს აქვთ ერთი მთლიანი ფრონტი,
პარტიის ბელადებია სტრონსკი და დუბანევიჩი.

**ქრისტიან დე-
მოკრატთა პარ-** ეს პარტია სასულიერო წოდებას,
ტია ქალაქის წყრილ ბურუუაზიასა და ხელოს-
ნებს ემყარება.

მას ემხრობა აგრეთვე ინდუსტრიალურ
პროლეტარიატის გაუნათლებელი და ჩამორჩენილი ნა-
წილი. შინაურ პოლიტიკაში უკიდურეს რეაქციონურ
ხაზს იკავენ, საგარეო პოლიტიკაში მხარს უჭერენ პილ-
სუდსკის. საბჭოთა კავშირისადმი სასტიკად გაბოროტე-
ბულნი არიან. პარტიაში გაბატონებულია უმთავრესად
ქსენძები (მღვდლები) პარტიას 1926 წელს 41 დეკუტა-
ტი ყავდა, აგრედვე სენატში 8 წევრი, პარტიის ბელა-
დებია—ვორფანტი და ხოძინსკი. პარტიას მუშათა ჯგუ-
ფებიდან ემხრობიან მეეზოვეები, შინ მოსამსახურეები,
წალის მკერავეები და წვრილი ხელოსნები.

**„პიასტის“
პარტია** ეს პარტია კულაკ გლეხთა პარ-
ტიაა. წინააღმდეგია მემამულეთაგან მი-
წების ჩამორთმევის. მხარს უჭერს მთავ-
რობას მუშების და ეროვნულ უმცირესობათა წინააღმ-
დეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგია. პარ-
ტიას ხელმძღვანელობს ვიტოსი და რატაი.

პარტია დარსდა 1911 წელს დასავლეთ გალიციაში.
დღესაც ამ პარტიას დიდი გავლენა მხოლოდ იქა აქვს.
1926 წელს სეიმში ყავდა 53 დეკუტატი, სენატში 12
წევრი.

„გიზგოლენიე“ საშვალო გლეხობის პარტიაა. გა-
ვლენით სარგებლობს უმიწაწყლო გლე-
ხებშიც. ის მომხრეა მემამულეთათვის მიწების ჩამორთმე-
ვისა. აწარმოებს სართოდ შემთანხმებლურ პოლიტიკას.
უყვარს რევოლუციონური ფრაზეოლოგია, საქმით ბურ-

უუაშიის კუდს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირისაღმი
პარტია მტრულად განწყობილია. საერთოდ პილსუდსკის
უძერს მხარს, მხოლოდ ცარიელი სიტყვებით მის წინა-
აღმდეგ ილაშქრებს. ეს მაშინ როდესაც გლეხობაში რე-
ვოლუციონური მოძრაობა ძლიერდება, იზრდება. 1926
წელს სეიმის არჩევნებში პარტიამ გაიყვანა 25 დეპუტა-
ტი, სენატის არჩევნებში 8 წევრი.

გლეხთა კაგ-შირი ეს პარტია ვიზვოლენიეს პარტიას
1926 წელს გამოეყო. პარტია პირველ
ხანებში რადიკალური პროგრამით გა-
მოვიდა. არსებითად ყოველთვის მემარჯვენე პოლიტიკას
იცავდა. 1927 წელს პარტიამ მიმართა ვიზვოლენიეს
პარტიას შერთების წინადაღებით. საგარეო პოლიტიკა-
ში ის საბჭოთა კავშირთან დახლოვების მომხრეა. 1926
წელს პარტიას სეიმში ყავდა 20 დეპუტატი. პარტიის
ლიდერებია ლომბადი, ბრალი.

ეროვნული საკითხი

მოსახლეობის პოლონეთის მოსახლეობა სხვადა-
სხვა ერებისაგან შესდგება. 30 მილიონ
ეროვნული შე მცხოვრებთაგან პოლონელია მხოლოდ
შადგენლობა. 18 მილიონი. 12 მილიონ ეროვნულ უმ-
ცირესობათაგან უკრაინელებია 5,200,000, ბელორუსები
2,100,000; ლიტველები 100,000.

პოლონელებს უკავიათ ისეთი ტერიტორია, სადაც
ცხრა მეათედი გერმანელებია და ერთი მეათედი პოლო-
ნელები. ესაა, ვალინი, პალესია და სტანისლავის გუბერნია,
ბელორუსიასა და ჩრდილოეთ უკრაინაშიაც პოლონელე-
ბი უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ. დასავლეთ
ბელორუსიაში ისინი მოსახლეობის ერთ მეხუთედს შეად-
გენენ, დასავლეთ უკრაინაში ერთ მეექვსედს.

ამ მხარეებში პოლონელებია მხოლოდ მსხვილი მე-
მამულები, მოხელეობა და ინტელიგენცია. ამგვარად აქ
მშრომელი მოსახლეობა ეროვნულ და კლასობრივ ჩაგვ-
რას თანაბრად განიცდის.

ეროვნული ეროვნული ჩაგვრის მხრივ სისა-
ჩაგვრის ფორ- ტიკის გამოჩენაში პოლონელებმა რუსე-
ბები თის მეფის ჯალათებსაც კი გადააჭარ-
ბეს. ებრაელთა დარბევა ახლა პოლო-
ნეთში გაცილებით მეტი სისასტიკით ხდება, ვიღრე მე-
ფის რუსეთში ხდებოდა. მოჩვენებითი პოლიტიკური თა-
ვისუფლებაც ყველა ეროვნების მიმართ თანაბრად არ

ვრცელდება. პოლონეთი და უკრაინელი მშრომელები თანასწორ პირობებში არ არიან ხელისუფლების მიერ ჩაყენებულნი, უკრაინელებით და ბელორუსებით. დასახლებულ რაიონებში უანდარმერიის და ჩინოვნიკების განუკითხავი ბატონობაა.. სემის დეპუტატებსაც კი არ აქვთ თავიანთ რაიონებში უფლება თავის ამრჩეველთა კრების მოწვევისა:

ბრძოლა ეროვ. პოლონურ ბურუუაზიის, ეროვნულ კულტურის წინამდებარების მხარე იმაში მდგომარეობს რომ ის ებრძვის ნააღმდეგ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ მოთხოვნილებებს. ამ მიზნით ის ხურავს და ავიწროებს ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს, პრესას, ლიტერატურას, აბრკოლებს პოლონეთის სასწავლებლებში. არა პოლონელების მიღებას. კრძალავს სამსახურსა და სახელმწიფო ორგანოებში ადგილობრივ ენების ხმირებას, სდევნის არა პოლონელ მასწავლებლებს და ხელს უშლის საერთო საგანმანათლებლო მუშაობას არა პოლონელებს შორის.

პოლიტიკური მიმართავს სასტიკ პოლიტიკურ ტერო-მჩიგვრელობა რს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არა პოლონელებია. მის მიერ დევნილი და აკრძალულია ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციები, ძალიან ხშირია ეროვნულ მოლვაწეთა დაპატიმრება, შეზღუდულია არა პოლონელების სამსახურში მიღება, ეროვნულ უმცირესობებს ფაქტიურად წართმეული აქვთ კონსტიტუციონური უფლებები. მათი რაიონები გამუდმებით სამხედრო მდგომარეობის წესებზე იმყოფება. იდევნება ეროვნულ გაზეთები და წიგნები.

**ჭანაპირა კუთხე-
ების კოლონიზა-**

ცია

პოლონეთის ბურუუაზია თავდაც
ვის მიზნით განაპირა კუთხეებში ასახ-
ლებს პოლონელებს, ყოფილ სამხედრო
პირთ. ეროვნულ უმცირესობათა საუ-
კეთესო მიწებს მათ აძლევს და სხვა მხრივადაც ეხმარება.
1927 წელს განაპირა კუთხეებში ასეთი წესით 15 ათა-
სამდი ფაშიზმის მომხრე პოლონელი იყო დასახლებული.
ისინი ერთგული აგენტებია პოლონეთის „ოხრანკის“. მათ
მთავრობა გარდა ნოკიერ მიწებისა აძლევს სასოფლო-
სამეურნეო იარაღებსაც.

ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მათ შორის ძალზე
გამწვავებული მდგომარეობაა. მათ წინააღმდეგ რამდენ-
ჯერმე მოხდა აჯანყება.

**ბელორუსის
გრამატა**

პოლონეთის ხელისუფლების ეროვ-
ნულ პოლიტიკას მშვენიერად ახასია-
თებს, მისი ბელორუსის გრამატი-
სადმი დამოკიდებულება. მან ბელორუსთა გლეხების უწ-
ყინარი ორგანიზაციი დაშალა, მისი ყველა ბელადები და
წევრები ათასობით ციხეებში გამოამწყვდია, ყველა გა-
ზეთები დახურა, დააპატიმრა ბელორუსიდან სეიმის დეპუ-
ტატებიც კი, აღშფოთებულ ბელორუს გლეხებს თოფის
კონდახებითა და ტყვია სახრჩობელებით გაუმასპინძლდა.

მოსყიდვა

პოლონეთის ბურუუაზია თავის მიზ-
ნის განსახორციელებლად (არა პო-
ლონელების გასაპოლონელებლად) ფართოდ იყენებს ეროვ-
ნულ უმცირესობის მოლვაწეთა მოსყიდვას. ეს ხდება ასე-
თი ფორმით. არა პოლონელი აცხადებს, რომ მე პოლო-
ნელი ვარო. უარყოფს თავის ენას, ზნე-ჩვეულებას და
ითქვითება პოლონულ ერში. მას ასეთი სამსახურისათვის
აწინაურებენ, ასაჩუქრებენ.

კომპერაცია

შევრთა რიცხვი პოლონეთში არსებობდა, როგორც
კლასობრივი, ისე წვრილ ბურუუზიუ-
ლი კომპერატივები შეუერთდენ წვრილ ბურუუზიულ კო-
მპერატივებს. ეს იყო შედეგი კლასობრივი მუშათა კო-
მპერატივების სრული გაკოტრებისა. ამ კომპერატივებს
სათავეში ყავდათ მოქცეული რეფორმისტები.

ყველა კომპერატივები გაერთიანებულია კომპერა-
ტიულ კავშირში. მხოლოდ მასში არ შედის პოლონეთის
ნემეცური და უკრაინული ნაწილების კომპერატივები.
კომპერატიული კავშირი დიდი თავდადებით იცავს პო-
ლიტიკურ „ნეიტრალიტეტის“ პრინციპებს.

1920 წელს პოლონეთში კომპერატივების რიგებში
გაერთიანებული იყო 1,200,000 მოსახლე. 1925 წლისათ-
ვის ეს რიცხვი ერთი ორად შემცირდა და 600,000 და-
ვარდა. ამასთან ერთად თვით კომპერატივთა რიცხვიც
შემცირდა.

**სოციალურ კლა-
სიური შემად-
გენლობა**

სოციალურ კლასიური შემადგენ-
ლობა კომპერაციის მუშურია. კო-
მპერაციის წევრებათ ითვლება 281640
მუშა, ანუ 55,5 პროცენტი, გლეხობა
შეადგენს 24 პროცენტს, მოსამსახურეები 11,5 პროცენტს,
კომპერატივებში გაერთიანებულია 37350 ქალი, კო-

ოპერატივის წევრთა 7,3 პროცენტს ქალები შეადგენენ. სულ კომპერაციაში გაერთიანებულია ოჯახის წევრების ჩათვლით მოსახლეობის 10 პროცენტი.

კომპერატიული
მოძრაობა სოფ-
ლად

სოფლად კომპერატივებში გაერ-
თიანებულთა რიცხვი ძლივს აღწევს
1 მილიონამდი. სოფელში უმთავრე-
სად საკრედიტო კომპერაცია სჭარ-

ბობს. ფულის კურსის დაცემამ დაალარიბა და გაანალ-
გურა ეს კომპერაციები. ვალიუტის სტაბილიზაციამ ხელი
შეუწყო მათი ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებას.

სოფლის კომპერაციას სათავეში უდგას ბურუუაზია,
სამლენელოება, მემამულეები და კულაკები. ბურუუაზიამ
მოახერხა და ცენტრალური კომპერატიული გაერთია-
ნება დაუქვემდებარა ეკონომიურ გაერთიანების აქციონე-
რულ ბანკს.

ბიოგრაფიული ლექსიკონი

ბარლიცკი—პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი ბელადი. პარტიის ცეკვას წევრი.

ბესარაბოვა—პოლონეთის თეორი ტერორის მსხვერპლი. უკრაინის ეროვნულ მოძრაობის ერთი აქტიური წევრი, ვერ აიტანა ლვოვის ციხის რეჟიმი და თავი მოიკლა. უკრაინელებმა ერთი თვის გლოვა გამოაცხადეს მისი თვითმკვლელობის გამო.

გარსკი ა.—დაიბადა 1870 წ. ვარშავაში. გიმნაზიის სკამიდანვე ხვდება მარქსისტთა წრეში. მრავალჯერ მჯდარა ციხეში. ამ უამაღ სეიმის წევრი და კომფრაქციის ხელმძღვანელია.

ვეჩერკოვიჩი—კრაკოვის გენერალური შტაბის პოლონელი აფიცერი. ბრალს სდებდენ ვარშავის ციხესა და უნივერსიტეტში მომხდარ აფეთქებაში. მანვე განიზრახა 1924 წელს ვარშავაში საფრანგეთის მთავარ სარდლის ფოშის ყოფნის დროს აფეთქების მოხდენა.

გიგონოვსკი—გრამსკის კაბინეტის დროს პოლონეთის მთავრობის იუსტიციის მინისტრი.

ვისკოვსკი—ყოფილი კომისარი ვალიუტით ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად. თვით ჩაიდინა ასეთი ბოროტმოქმედება, რაც სეიმის წევრებმა ამხილეს.

ვიტოსი—კულაკების პარტიის პიასტის წევრი და ბელადი. ორჯერ იყო პრემიერ მინისტრათ. პოლიტიკური მოღვაწეობა ნაროვნიკობით დაიწყო. 1907 წელს აირ-

ჩიეს გალიციის სეიმის წევრად. საბჭოთა კავშირთან
მშვიდობიანი პოლონების მომხრება.

ვოიტიუკი — სეიმისა და უკრაინის სოციალდემოკრა-
ტიული პარტიის წევრი. მიემხრო კომფრაქციას.

ვოიცეჩოვსკი — პოლონეთის სოციალისტური პარ-
ტიის ერთი დამაარსებელთაგანი. ჯერ კიდევ ომამდი რე-
ვოლიუციონურ მოძრაობას თავი დაანება და კოოპერა-
ციაში დაიწყო მუშაობა. 1917 წლამდი მოსკოვში ცხოვ-
რობდა. 1918 წელს პილსუდსკის დაუახლოვდა. პალერევ-
სკის კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა
ეჭირა. პრეზიდენტ ნარუტევიჩის მკვლელობის შემდეგ იყო
პოლონეთის პრეზიდენტათ.

ვაევსკი ე. — პოლონელი კომკავშირელი. ბენდენის
საკატორო ციხეში ვერ აიტანა ციხის რეუიმი. თვით-
მკვლელობით დაასრულა თავისი ცხოვრება.

ვანკევიჩი — უკრაინის სოციალდემოკრატიულ პარ-
ტიის ერთი დამაარსებელი და ბელადთაგანი. კაუცკის
მომხრე, სოციალპატრიოტი. პილსუდსკის თანამგრძნობი.
საბჭოთა კავშირთან მტრულად განწყობილი.

ვლაბრინსკი — სახალხო დემოკრატების ლიდერი. სეი-
მის წევრი. ფაშისტურ ორგანიზაციებთან დაახლოვე-
ბული.

ვრაბსკი — პოლონეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი.
ვიტოსის კაბინეტში იყო ფინანსთა მინისტრადაც. ვარ-
შავის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი
დეპუტატი. პოლონეთის ნაციონალ დემოკრატიული პარ-
ტიის წევრი. ძველად ბევრს სწერდა სასოფლო მეურნეო-
ბის საკითხებზე.

დაროვსკი 5. — პოლონეთის ყოფილი შრომის მინისტრი, 1921 წელს იყო პოლონეთის ელჩიად მოსკოვში, საბჭოთა კავშირთან დაახლოების მომხრე.

დაშინსკი — ი. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ბელადი. პარტიის გენერალურ საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე. იყო პრემიერ მინისტრადაც.

დმოვსკი რ. — პოლონეთის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი. რიგის სამშვიდობო კონფერენციაზე პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ იყო. სახალხო დემოკრატიულ პარტიის ბელადია. 1906 წელს რუსეთის სასახელმწიფო სათაბიროს წევრათ იყო.

დომბალი — გლეხთა ინტერნაციონალის ყოფილი გენერალური მდივანი. პოლონელი კომუნისტი. სახალხო მასწავლებელი. სეიმში არჩევის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში შევიდა. მთავრობამ ამის შემდეგ დავნა დაუწყო.

დუსანოვიჩი პოლონეთის ეროვნულ-ქრისტიანულ პარტიის ბელადი. მსხვილი მემამულეების დამცველი, სეიმის წევრი.

ავეშკო ანა — უკრაინელი სოფლის მასწავლებელი ქალი. უკრაინის სოციალ დემოკრატიულ პარტიის წევრობისათვის მიუსაჯეს 4 წლის ციხე.

ზამოისკი — გრაფი. პოლონეთის ყოფილი ელჩი პარიზში. იყო გარეშე საქმეთა მინისტრადაც. წარმომადგენელია პოლონეთის მემამულეთა არისტოკრატიის, საფრანგეთის ორიენტაციის მომხრე.

კალიატინსკი — უკრაინის (პოლონეთში) სოციალდემოკრატიის ერთი ბელადთაგანი. ლვოვის საკატორო ციხეში ნახევარ წელიწადს იჯდა. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან თანაგრძნობისათვის.

კოში ფელიქსი — ერთი უხუცესი პოლონელი კომუნისტთაგანი. პოლიტიკური კატორლელი. მრავალი წელი გაატარა გადასახლებასა და ემიგრაციაში. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთს შორის ომის დროს რევკომის თავმჯდომარეთ ნამყოფი.

კორფანტი — პოლონეთის რეაქციონერი გენერალი. 1920 წელს ხელმძღვანელობდა ზემო სილეზიის დაპყრობას. 1922 წელს დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ. პილსუდსკიმ არ დაამტკიცა.

კრულიკოვსკი — კომპარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი. სეიმის ყოფილი წევრი.

მორავსკი — პროფესორი, მემარჯვენე პარტიებმა პრეზიდენტ ნარუტევიჩის მკვლელობის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტათ წამოაყენეს. არ იქნა არჩეული.

ნარუტევიჩი გ. — პოლონეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი. 1922 წელს პოლონეთის შავრაზმელებმა მოკლეს. განათლებით ინჟინერი იყო, პილსუდსკის მეგობარი. მოკლა ფაშისტ ნევიალორსკიმ.

პალერევსკი ი. — 1919 წელს პოლონეთის პრემიერ მინისტრად არჩეული, ცნობილი პიანისტი. პილსუდსკის მოწინააღმდევე. ვერ შესძლო პილსუდსკისთან ბრძოლა და მალე გადადგა.

პენკოსლავსკი — ფაშისტი, საერთაშორისო იმპერიალისტური ომის დროს აგროვებდა ლეგიონერებს რუსეთის მხარეზე საბრძოლველად.

პილსუდსკი — პოლონეთის ფაშისტურ ხელისუფლების დღევანდელი მეთაური. (დაიბადა 1867 წ.) პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრი. ძალაუფლება დაიპყრო 1918 წელს შეიარაღებული ძალები გ

შოსარჩელე პოლონეთის 1772 წლების საზღვრების აღდგენისა. ავანტიურულ პოლიტიკის მწარმოებელი, დიქტატურული უფლებებით აღჭურვილი. საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი. რუსეთ-პოლონეთის ომის ერთი მთავარი მოთავეთაგანი. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტრიგების შექმნაში ახლაც ენერგიულად მუშაობს. ითვლება პოლონეთის ჯარების გენერალურ ინსპექტორათ.

იუზეფსკი—ლიუბლინის ვოევოდი. ცნობილი იმპერიალისტი. პილსუდსკის მარჯვენა ხელი. 1928 წელს უმაღლეს თანამდებობის პირთა თანდასწრებით საჯაროდ განაცხადა, საბჭოთა უკრაინის უმოქმედობის საჭიროების შესახებ.

პატეკი სტანისლავ—1920 წელს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი. 1921 წელს პოლონეთის ელჩი იაპონიაში. 1926 წელიდან პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში.

იასენსკი—პოლონეთის პროლეტარული მწერალი. ხელისუფლებისგან დევნილი. რამდენიმე ხნით პარიზს შეატარა თავი. დასწერა რომანი „მე ვწვავ პარიზს“. ამ რომანის გამო პარიზიდანაც გააძევეს. ამ უამაღ საბჭოთა კავშირში ცხოვრობს.

ლანცუცკი ს.—სეიმში სიტყვის წარმოთქმისათვის 4 წლით დაპატიმრეს. სასჯელი მოიხადა და 1928 წელს გაანთავისუფლეს. ამ წელს კიდევ დაპატიმრეს და ვარშავის ციხეში ჩასვეს. მალე ისევ იქმნა განთავისუფლებული.

Фуармэдп:

1. Наши западные соседи. Краткий политико-экономический справочник.
2. Коммунистический интернационал перед Шестым всемирным конгресом.
3. Коминтерн за 1924—27 годы.
4. Ежегодник мирового хозяйства и мировой политики на 1928 года.
5. Календар коммуниста на 1929 год.
6. В. Колежский—Польша и ее вооружение силы.
7. Б. Лекаш—Польша без маски.
8. Мировой пролетариат в цифрах.
9. И. Нирх—Славар современных иностранных политических деятелей.
10. Малая энциклопедия по международному профдвижению.

ს ა რ ჩ ვ 8 0:

88.

1. შესავალი.	3
2. ზოგადი კნობები	7
3. რუსეთ—პოლონეთის ომი.	11
4. ახალი თავხედობანი	17
5. სამხედრო ძალები	23
6. თეთრ გვარდიელები	34
7. რევოლიუციონერების დევნა.	36
8. ეკონომიკა	37
9. უმთავრესი ქალაქები.	50
10. სასოფლო მეურნეობა.	51
11. აგრარული რეფორმა.	54
12. პოლიტიკა	60
13. მუშათა მოძრაობა.	64
14. სოციალისტური პარტიები	71
15. ბურჟუაზიული პარტიები	78
16. ეროვნული საკითხი	81
17. კომპერაცია	84
18. ბიოგრაფიული ლექსიკონი.	86
19. წყაროები	92



ပြည်ထဲမှု စာမျက်နှာများ

**ပြည်ထဲမှု လုပ်ငန်း၊ ပါန်းများ၊ ပြည်ထဲမှု
မြတ်နေး မာဏ်များ**

တွေ့ဆုံး

ပ. ၃.

ၧ. အရေစာရီ—စာတွေ့ဆုံး	10
ၨ. နာတစ်ခုပါလ်—ပာမီး၊ တာမီး၊ မာရွှေပြော	40
ၫ. ဘဒ်ရောင်းနှင့် ၬ. စံဒုက္ခန်းပါလ်—ရောင်းရှုနှင့် မူးပြော	20
ၩ. ဂူးပါလ်—ရာရီရေး ပြုလုပ်	45
ၪ. ဝန်ဆောင်ရေး—ပြည်ထဲမှု ပုံစံ	90
ၬ. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	15
၇. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	20
၈. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	40
၉. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	25
၁၀. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	40
၁၁. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	45
၁၂. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	1
၁၃. အောက်ချုပ်—ရောင်းရှုနှင့် တောက်ချုပ်	45

୩୫୬୦ ୫୦ ୫୫୩.

943-8
3 469

